ახალი განათლება

2015 წელი, 28 მაისი - 3 ივნისი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№20 (694) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ოლიმპიური ცეცხლი საქართველოშია

ინოვაციური საფეხური – სასკოლო მზაობის პროგრამის ხმაურიანი დასაწყისი

გვერდი 4

პედაგოგთა დასახმარებლად

მოსწავლეთა პრეზენტაციები და მოხსენებები

გერმანული ენა

თარგმანი უცხო ენის გაკვეთილზე - მითი თუ რეალობა?

ინგლისური ენა

გვერდი 6

ქართული როგორც მეორე ენა

მოთხრობითი ბრუნვის ფორმის სწავლების ასპექტები სომხურენოვან სკოლებში

გვერდი 9

გთავაზობთ 2015-2016 სასწავლო წელს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების იმ პროგრამულ მიმართულებებს, რომლებშიც სტუდენტის სწავლის საფასურს სრულად აფინანსებს სახელმწიფო (იხილეთ გვ.3)

კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა (CST) აცხადებს მიღებას

❖ პროფესორის (3 ვაკანტური ადგილი)
❖ ასოცირებული პროფესორის (2 ვაკანტური ადგილი)
❖ ასისტენტ პროფესორის (2 ვაკანტური ადგილი)
❖ ასისტენტის (2 ვაკანტური ადგილი)

აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად, ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით

წარმოსადგენი დოკუმენტები:
– CV რეზიუმე;
– პირადობის მოწმობის ასლი;
– კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
– სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
– გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) პროფესორისთვის
– დოქტორის ხარისხი შესაბამის დარგში და მოცემულ სფეროში საქმიანობის, მინიმუმ, 6-წლიანი პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილება;
ბ) ასოცირებული პროფესორისთვის
– დოქტორის ხარისხი შესაბამის დარგში და მოცემულ სფეროში საქმიანობის, მინიმუმ, 3-წლიანი პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილება;
ბ) ასისტენტ-პროფესორისთვის
– დოქტორის ხარისხი შესაბამის დარგში და მოცემულ სფეროში საქმიანობის, მინიმუმ, 3-წლიანი პედაგოგიური ან/და პრაქტიკული გამოცდილება;
ბ) ასისტენტისთვის
– დოქტორანტი ან მაგისტრის ხარისხის მქონე პირი შესაბამის დარგში, რომელსაც აქვს მოცემულ სფეროში საქმიანობის, მინიმუმ, 3-წლიანი პედაგოგიური ან/და პრაქტიკული გამოცდილება.

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:
I ეტაპი – წარმოდგენილი დოკუმენტების გადარჩევა;
II ეტაპი – პრეზენტაცია;
III ეტაპი – კონკურსის შეჯამება.

დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, გამოაგზავნოთ მითითებული დოკუმენტები, შემდეგ მისამართებზე: hr@cu.edu.ge; nsulaberidze@cu.edu.ge
გთხოვთ, საგნის დასახელების ველში მიუთითოთ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის და დისციპლინის სახელწოდება!
საბუთების მიღება – 2015 წლის 29 ივნისიდან 31 ივლისის ჩათვლით.
კავკასიის უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, გადაამოწმოს თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია და დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან.

ინფორმაცია

ფესტივალი „მუზეუმების გაზაფხული 2015“

მიხეილ ჯავახიშვილის მუზეუმში პირველი ექსპერიმენტული სკოლის მიერ ინიცირებული ინტერდისციპლინური და თანამშრომლობითი სასწავლო პროექტის „წითელი გველეშაპი ბროლის კოშკს მოხვევია“ დასკვნითი ტური გაიმართა, რომელიც მუზეუმების ფესტივალს – „მუზეუმის გაზაფხულს“ მიეძღვნა.

პროექტი ითვალისწინებდა სკოლებსა და მუზეუმებს შორის თანამშრომლობას და მასში ჩართულები იყვნენ პირველი ექსპერიმენტული სკოლის, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლისა და კლასიკური გიმნაზიის X და XI კლასების მოსწავლეები. მათ მოიძიეს მუზეუმებში დაცული და ფართო საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ უცნობი მასალები, რომელიც ეხებოდა რეპრესირებულ ქართველ შემოქმედთა ტრაგიკულ ხვედრს და საბჭოთა პერიოდის ასახვას ქართულ მწერლობაში.

პროექტის პარტნიორები იყვნენ მიხეილ ჯავახიშვილის ბინა-მუზეუმი, თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი, ჯგუფი „ქართუ“, საქართველოს უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დასკვნით ტურს ესწრებოდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური**, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე **მაყვალა გონაშვილი**, ევროკავშირის კულტურის ატაშე **ოლივერ რაისნერი**, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები – **თამარ ტალიაშვილი** და **დავით მალაზონია**.

კომპეტენტურმა ჟიურიმ შეაფასა მოსწავლეთა ნაშრომები და გამოავლინა გამარჯვებულები: **ლექსო საბიაშვილი** – კლასიკური გიმნაზიის XI კლასის მოსწავლე, თემით „ინტელიგენციის პრობლემა მიხეილ ჯავახიშვილის რომანებში“; **ლინა ბუზიაშვილი** – 51-ე საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე, თემით „წითელი გველეშაპი ბროლის კოშკს მოხვევია“; **ლევან ხარბედია** და **გიორგი ჯანჯღავა** – პირველი ექსპერიმენტული სკოლის X კლასის მოსწავლეები, თემით „ცოდოსა და განგების ეთიკის კონცეფცია მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში“.

სტუმრებმა ღონისძიება შეაფასეს, როგორც სიახლე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში და აღნიშნეს, რომ მსგავსი აქტივობების დანერგვა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას წაადგება.

ინტელექტუალური შეჯიბრი „ინტელექტის დღე 2015“ დასრულდა

კლუბ „ტრიუმფში“ ყველაზე მასშტაბური ინტელექტუალური შეჯიბრის „ინტელექტის დღე 2015“ ფინალური ეტაპი გაიმართა. ტურნირის პირველ, მუნიციპალურ, რაუნდში გამარჯვებული 71 სკოლის გუნდი 2015 წლის ყველაზე ინტელექტუალურ სკოლას გამოავლენს. ღონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური** და სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი **ტარიელ ხეჩიკაშვილი** დაესწრნენ. ფინალურ თამაშს საქართველოს ინტელექტკლუბის „რა?სად?როდის?“ პრეზიდენტი **გიორგი მოსიძე** უძღვებოდა.

დასკვნით ეტაპზე, გუნდებმა 36 შეკითხვას უპასუხეს. სულ სამი გამარჯვებული სკოლის გუნდი გამოვლინდა. პირველ ადგილზე გავიდა საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის ხაშურის სკოლა-პანსიონის გუნდი, მეორე ადგილი ორმა გუნდმა გაიყო – ცაგერის საჯარო სკოლისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის №1 საჯარო სკოლის გუნდებმა. გამარჯვებულები პრიზებითა (ამაზონ ქინდლები და ქართველ ავტორთა წიგნები) და დიპლომებით დაჯილდოვდნენ, ასევე, გადაეცათ დიპლომები გამარჯვებულ გუნდებს რაიონების მიხედვით.

საქართველოს ჩემპიონატი მოსწავლეთა შორის ინტელექტუალურ თამაშში „რა?სად?როდის?“ – „ინტელექტის დღე“ ნელს უკვე მეოთხედ იმართება. 18 აპრილს, 71 სათამაშო მოედანზე ერთდროულად, პროექტის პირველი, მუნიციპალური ეტაპი გაიმართა და მასში, საქართველოს მასშტაბით, 1500-მდე სკოლის გუნდი მონაწილეობდა. მუნიციპალურ რაუნდში გუნდებმა 24 შეკითხვას უპასუხეს. წამყვანებად ცნობილი მოაზროვნეები და ტელე-კლუბის „რა?სად?როდის?“ აქტიური წევრები მოგვევლინენ.

პროექტის ორგანიზატორები არიან: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს სპორტისა და ახალგზრდობის საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ინტელექტკლუბი „რა?სად?როდის?“.

მინისტრი პანკისის ხეობის სკოლებს გაეცნო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**, მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური** და კახეთის გუბერნატორი **ირაკლი შიოლაშვილი** პანკისის ხეობის რამდენიმე საჯარო სკოლას ეწვივნენ და მოსწავლეებს, მათ მშობლებს და პედაგოგებს ხეობის სკოლებში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული და ახალი სასკოლო პროექტები გააცნეს. სამინისტროს ხელმძღვანელმა პირებმა ხეობის წარმომადგენელთა შეკითხვებსაც უპასუხეს და მათი საჭიროებებითაც დაინტერესდნენ. ღონისძიების ფარგლებში, სკოლებს გადაეცათ მხატვრული ლიტერატურა ბიბლიოთეკებისთვის და კომპიუტერები.

პანკისის ხეობაში 7 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს 1430-მდე მოსწავლითა და 183 მასწავლებლით. აქედან 5 სკოლაა, სადაც ეთნიკური ქისტები და ჩეჩნები სწავლობენ, აქ სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობს, ერთ სკოლაში რუსული სექტორი ფუნქციონირებს. „სკოლების ხელმისაწვდომობის ქვეპროგრამაში“ 5 სკოლაა ჩართული და შესაბამისად, ამ სკოლების მოსწავლეები სატრანსპორტო მომსახურებით სარგებლობენ. 2013-2014 წლებში ხეობის სამ სკოლას ნაწილობრივი რეაბილიტაცია აქვს გავლილი, ორი სკოლა სრულადაა რეაბილიტირებული, სკოლები ასევე აღჭურვილია ახალი ინვენტარით, ყველა საჯარო სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტმომსახურებით.

პანკისის ხეობის სკოლებში დამატებით ინფრასტრუქტურულ პროექტებს სამინისტრო 2015 წელსაც განახორციელებს იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც სკოლებმა წარმოადგინეს და რა საჭიროებებიც სამინისტროს ინფრასტრუქტურის სამსახურმა გამოავლინა. რაც შეეხება ახალ სასკოლო პროექტებს, ამ ეტაპზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ხეობის სკოლების მიერ წარმოდგენილ 6 სასკოლო პროექტს დააფინანსებს:

– დუისის სკოლა – „თექის დამუშავების შესწავლა“ და „სახელოვნებო განათლება“ (ხალხური ცეკვის და სიმღერის წრეები);
– დუმასტურის სკოლა – „გამოვავლინოთ ნიჭიერი ფეხბურთელი“ (ფეხბურთის წრე); „დავეუფლოთ ხელოვნებას“ (ხალხური ცეკვის და სიმღერის წრეები);
– ბირკიანის სკოლა – „სახელოვნებო განათლება“ (ხალხური ცეკვის და სიმღერის წრეები);
– ჯოყოლოს სკოლა – „სახელოვნებო განათლება“ (ხალხური ცეკვის და სიმღერის წრეები);
– ხეობის ყველა სკოლა ჩაერთვება პროექტში „კინო სკოლაში“, რომელსაც განათლების სამინისტრო, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან ერთად, ახორციელებს.

ზემოაღნიშნულ სკოლებსა და ხეობის დარჩენილ ორ სკოლაში, დამატებით, ექვსი პროექტის დაფინანსება იგეგმება.

პანკისის ხეობაში სასკოლო ცხოვრება ისევე სრულფასოვნად მიმდინარეობს, როგორც საქართველოს ნებისმიერი ქალაქისა თუ სოფლის სკოლაში. პანკისელი მოსწავლეები ჩართული არიან სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა პროგრამასა და კონკურსში, ასევე წარმატებით მონაწილეობენ ერთიან ეროვნულ გამოცდებში. ხუთი სკოლიდან ორს სერტიფიცირებული დირექტორი ჰყავს, სასერტიფიკატო გამოცდებში მონაწილეობენ მასწავლებლებიც, ასევე გადიან მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს თბილისში და ადგილზეც.

ინფრასტრუქტურული პროექტი სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პედაგოგებისთვის, ახალქალაქში სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებლის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**, უნივერსიტეტის რექტორთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, გაეცნო რეაბილიტაციის პროცესს.

უმაღლესი სასწავლებლების ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტის ფარგლებში, რეგიონული უმაღლესი სასწავლებლების რეაბილიტაცია სამინისტროსთვის პრიორიტეტულია, ასეთ უნივერსიტეტებს განეკუთვნება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიც, რომლის სასწავლო კორპუსები განთავსებულია ახალციხესა და ახალქალაქში.

ახალი სასწავლო წლიდან, უნივერსიტეტში, რეგიონისთვის პრიორიტეტული რამდენიმე პროგრამის ამოქმედება იგეგმება, რაც ხელს შეუწყობს ახალქალაქში სტუდენტი ახალგაზრდობის მოზიდვას საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ქალაქში თანამედროვე სტანდარტების საერთო საცხოვრებლის არსებობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილზე არ არსებობს აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალი, პროფესორ-მასწავლებელთა სრული შემადგენლობა, ყოველდღე, ახალციხიდან ახალქალაქში დადის. რეაბილიტირებული, თანამედროვე სტანდარტების საერთო საცხოვრებელი ხელს შეუწყობს აკადემიური პერსონალისთვისაც საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას.

ერთიანი ეროვნული გამოცდები

2015-2016 სასწავლო წელს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების ის პროგრამული მიმართულება/მიმართულებები, რომელშიც/რომლებშიც სტუდენტის სწავლის საფასურს სრულად აფინანსებს სახელმწიფო

1. 2015-2016 სასწავლო წელს სახელმწიფო სრულად აფინანსებს სტუდენტის სწავლის საფასურს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის ქართულენოვანი აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების შემდეგ პროგრამულ მიმართულებაზე/მიმართულებებზე:

კოდი	მიმართულება	კოდი	დარგი/სპეციალობა
01	აგრარული მეცნიერებანი	0101	აგრონომია
		0102	ვეტერინარია
		0103	მეცხოველეობა
		0104	სასურსათო ტექნოლოგია
		0105	სატყეო საქმე
03	განათლება	0301	განათლების მეცნიერებები
		0302	მასწავლებლის განათლება
04	ინჟინერია	0404	საინჟინრო ფიზიკა
		0405	ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია
		0406	მშენებლობა
		0415	აგროინჟინერია
05	მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	0501	მათემატიკა
		0502	ფიზიკა
		0503	ქიმია
		0504	ბიოლოგია/სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებანი/გამოყენებითი ბიომეცნიერებები
07	სოციალური მეცნიერებები	0701	ეკონომიკა
10	ჰუმანიტარული მეცნიერებანი	1004	ისტორია
		1005	ფილოლოგია, მათ შორის ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისი მოდიფიცირებით
		1006	ფილოსოფია
11	მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	1101	არქიტექტურა
		1115	არქეოლოგია

<u>შენიშვნა: მიმართულებების, დარგების/სპეციალობების ჩამონათვალი განისაზღვრება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით.</u>

2. 2. უნივერსიტეტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებულ საგანმანათლებლო პროგრამასა და ამ დანართის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დარგებს/სპეციალობებს შორის შესაბამისობა განისაზღვრება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს (დანართი №3) საფუძველზე.

3. ამ ბრძანების პირველი დანართის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ 2015 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებული ადგილები:

№	კოდი	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	კვალიფიკაცია	2015წ. უსდ-მიერ დარეგისტრირებული ადგილები
	001	**სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ცნობარის მიხედვით	
1	0010101	ქართული ფილოლოგია	ფილოლოგიის ბაკალავრი	200
2	0010102	ისტორია	ისტორიის ბაკალავრი	150
3	0010103	არქეოლოგია	არქეოლოგიის ბაკალავრი	25
4	0010104	ფილოსოფია	ფილოსოფიის ბაკალავრი	25
5	0010124	დაწყებითი განათლება	განათლების ბაკალავრი	25
6	0010106	მათემატიკა	მეცნიერებათა ბაკალავრი მათემატიკაში	100
7	0010107	ფიზიკა	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი ფიზიკაში	100
8	0010108	ქიმია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი ქიმიაში	100
9	0010109	ბიოლოგია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი ბიოლოგიაში	100
10	0010117	ეკონომიკა	ეკონომიკის ბაკალავრი	400
		ჯამი		**1225**
	003	**სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**	**კვალიფიკაცია**	
1	0030101	მშენებლობა	ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობაში	500
2	0030203	ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია	ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის ბაკალავრი	450
3	0030601	არქიტექტურა	არქიტექტურის ბაკალავრი	150
4	0030803	მათემატიკა	მათემატიკის ბაკალავრი	50
5	0030806	საინჟინრო ფიზიკა	საინჟინრო ფიზიკის ბაკალავრი	100
6	0031001	აგრარული ტექნოლოგიები	აგრონომიის ბაკალავრი	75
7	0031002	სასურსათო ტექნოლოგია	სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი	120
8	0031003	სატყეო საქმე	სატყეო საქმის ბაკალავრი	100
9	0031004	აგროინჟინერია	ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში	80
10	0031005	მეცხოველეობა	მეცხოველეობის ბაკალავრი	75
11	0031006	აგრონომია	ბაკალავრი აგრონომიაში	75
12	0031007	ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია	ბაკალავრი აგროინჟინერიაში	75
13	0030408	ქიმია	ქიმიის ბაკალავრი	50
	ჯამი		**1900**	
	009	**სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	**კვალიფიკაცია**	
1	0090101	ქართული ენა და ლიტერატურა	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში	150
2	0090107	არქეოლოგია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი არქეოლოგიაში	30
3	0090108	ისტორია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში	60
4	0090201	მათემატიკა	მათემატიკის ბაკალავრი	60
5	0090203	ფიზიკა	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ბაკალავრი ფიზიკაში	15
6	0090204	ბიოლოგია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი ბიოლოგიაში	60
7	0090404	ეკონომიკა	ეკონომიკის ბაკალავრი	100
8	0090501	დაწყებითი განათლება	განათლების ბაკალავრი	210
9	0090605	ელექტრული ინჟინერია	ინჟინერიის ბაკალავრი	75
10	0090606	მშენებლობა	ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობაში	60
11	0090901	აგრონომია	აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი	60
12	0090903	აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა	სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი	30
13	0090904	აგროინჟინერია	აგროინჟინერიის ბაკალავრი	30
14	0090703	სასურსათო ტექნოლოგიები	სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი	30
		ჯამი		**970**
	010	**სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**	**კვალიფიკაცია**	
1	0100402	მათემატიკა	მეცნიერების ბაკალავრი მათემატიკაში	50
2	0100403	ბიოლოგია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი ბიოლოგიაში	50
3	0100102	ქართული ფილოლოგია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში	50
4	0100103	ისტორია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში	50
5	0100104	ფილოსოფია	ფილოსოფიის ბაკალავრი	15
6	0100105	არქეოლოგია	არქეოლოგიის ბაკალავრი	30
7	0100106	დაწყებითი სკოლის პედაგოგიკა და სკოლამდელი აღზრდა	განათლების ბაკალავრი	50
8	0100404	ფიზიკა	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი ფიზიკაში	15
		ჯამი		**310**
	012	**სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	**კვალიფიკაცია**	
1	0120101	მათემატიკა	მათემატიკის ბაკალავრი	30
2	0120201	ქიმია	ქიმიის ბაკალავრი	25
3	0120202	ბიოლოგია	ბიოლოგიის ბაკალავრი	25
4	0120203	ფიზიკა	ფიზიკის ბაკალავრი	10
5	0120301	ქართული ფილოლოგია	ფილოლოგიის ბაკალავრი	30
6	0120302	არქეოლოგია	არქეოლოგიის ბაკალავრი	25
7	0120303	ისტორია	ისტორიის ბაკალავრი	25
8	0120601	ეკონომიკა	ეკონომიკის ბაკალავრი	30
		ჯამი		**200**
	071	**სსიპ-თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	**კვალიფიკაცია**	
1	0710117	ქართული ენა და ლიტერატურა	ფილოლოგიის ბაკალავრი	55
2	0710118	ისტორია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში	55
3	0710101	ბიოლოგია	ბიოლოგიის ბაკალავრი	40
4	0710115	დაწყებითი განათლება	განათლების ბაკალავრი	35
5	0710114	სასურსათო ტექნოლოგია	სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი	43
		ჯამი		**228**
	114	**სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	**კვალიფიკაცია**	
1	1140101	დაწყებითი განათლება	განათლების ბაკალავრი	90
2	1140202	ეკონომიკა	ეკონომიკის ბაკალავრი	50
3	1140601	მშენებლობა	ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობაში	50
4	1140603	აგრონომია (აგროტექნოლოგია, აგროეკოლოგია)	აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი	50
5	1140702	ქართული ფილოლოგია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში	80
6	1140703	ისტორია	ისტორიის ბაკალავრი	50
7	1140802	ბიოლოგია	ბიოლოგიის ბაკალავრი	30
8	1140803	ქიმია	ქიმიის ბაკალავრი	15
9	1140901	ფიზიკა	ფიზიკის ბაკალავრი	15
10	1140902	მათემატიკა	მათემატიკის ბაკალავრი	30
		ჯამი		**460**
	014	**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ახალციხე, ახალქალაქი)**	**კვალიფიკაცია**	
1	0140105 /0140106	ქართული ფილოლოგია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში	120
2	0140101 /0140102	ისტორია	ისტორიის ბაკალავრი	120
3	0140118 /0140119	ეკონომიკა	ეკონომიკის ბაკალავრი	120
		ჯამი		**360**
		საერთო ჯამი		**5653**

სასკოლო მზაობა

ინოვაციური საფეხური – სასკოლო მზაობის პროგრამის ხმაურიანი დასაწყისი

პირველკლასელთა რეგისტრაცია 14 ივნისამდე გრძელდება და წელს სკოლაში ის ბავშვები მიიღებიან, ვისაც სასწავლო წლის დაწყებამდე შეუსრულდება 6 წელი – ამ ახალ რეგულაციას მშობელთა საყოველთაო მღელვარება მოჰყვა. ალტერნატიული საკანონმდებლო ინიციატივა დეპუტატმა კობა სუბელიანმა მოამზადა. დოკუმენტის თანახმად, 2015 წლის დეკემბრის ბოლომდე დაბადებულ პატარებს სწავლის დაწყების უფლება უნდა მიეცეთ, ამ საკანონმდებლო ინიციატივას პარლამენტში ორი მოსმენით უყარეს კენჭი – პირველ მოსმენაზე მან დეპუტატების მხარდაჭერა მოიპოვა, მეორე კენჭისყრაზე კი ჩავარდა. 27 მაისს, პლენარულ სხდომაზე, კანონპროექტის მესამე მოსმენა გაიმართება. თუკი პარლამენტი ამ ცვლილებას დაამტკიცებს, იმ 20 ათას ბავშვს, ვისაც 14 სექტემბრის შემდეგ, წლის ბოლომდე, უსრულდება 6 წელი, მიეცემა შანსი გახდეს პირველკლასელი. მოქმედი კანონით კი მათ, როგორც 5 წლის ასაკის ბავშვებს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სასკოლო მზაობის პროგრამის გავლას სთავაზობს. რა არის სასკოლო მზაობის პროგრამის მიზანი, როგორ მოხდება მისი დანერგვა მთელი ქვეყნის მასშტაბით, რა რეალური შესაძლებლობები არსებობს ამისთვის და, ზოგადად, რა სიახლეები და გამოწვევებია სკოლამდელი განათლების სფეროში – ამ საკითხებზე,19 მაისს, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, Frontline Georgia-ში საინტერესო დისკუსია გაიმართა.

ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსმა, **ნათია ჯოხაძემ** სასკოლო მზაობის პროცესში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს როლზე ისაუბრა: *„სკოლამდელი განათლების დეცენტრალიზების მიუხედავად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად, ამ სექტორის ძალიან სერიოზულ მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას ახორციელებდა. ეს თემა მხოლოდ დღეს არ წამოჭრილა და 2006-08 წლებიდან მოყოლებული აქტუალურია. ბევრი რესურსი შეიქმნა სკოლამდელი განათლების სფეროში. პროცესებში ჩართულები იყვნენ როგორც დარგობრივი ექსპერტები, განსაკუთრებით სასკოლო მზაობის მიმართულებით, ასევე განათლებისა და ბავშვთა ფსიქოლოგები და ის ადამიანები, რომლებიც საქართველოში ამ მიმართულებით მოღვაწეობენ – ისინი არაერთი პუბლიკაციის ავტორები არიან. სკოლამდელი განათლების ინსტიტუციონალიზაცია, ცენტრალურ დონეზე, 2012 წელს დაიწყო, როცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ოფიციალურად გაჩნდა სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველო, რომელსაც დებულებაში ყველა ის ფუნქცია ჩაეწერა, რასაც საქართველოს კანონმდებლობა სკოლამდელი განათლების მიმართულებით ითვალისწინებს. ადგილობრივი ხელისუფლება ამ სფეროს ექსკლუზიური მეპატრონეა რესურსების მიწოდებისა და მენეჯმენტის თვალსაზრისით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფუნქცია კი მეთოდოლოგიური მხარდაჭერაა – სასწავლო პროგრამები, შეფასების ინსტრუმენტები, აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადების პროგრამები და ა.შ.*

არაერთმა საერთაშორისო და ლოკალურმა კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვები, რომლებიც სასკოლო მზაობის პროგრამას გადიან ინსტიტუციებში ან კვალიფიციური აღმზრდელების დახმარებით, გაცილებით უკეთეს შედეგებს აჩვენებდნენ დაწყებითი განათლების საფეხურზე, ვიდრე ის ბავშვები, ვინც ამ პროგრამების მიღმა იყვნენ დარჩენილი. ბევრი ფიქრის, დისკუსიის და მსჯელობის შემდეგ, გადავწყვიტეთ, კონცენტრირებულნი ვყოფილიყავით სასკოლო მზაობაზე (ბუნებრივია, მთლიანად სასკოლო განათლებაზე) და ინტენსიურად დაგვეწყო მუშაობა იმაზე, რომ სასკოლო მზაობის პროგრამა განათლების სისტემის სავალდებულო ნაწილი გამხდარიყო. ჯერჯერობით, სკოლამდელი განათლება არ არის სავალდებულო საფეხური, თუმცა ვისურვებდი, რომ სავალდებულო იყოს და ხარისხიანი, ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდეს. სამწუხაროდ, ამის შესაძლებლობას რეალობა ჯერ არ იძლევა.“

რა გააკეთა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ იმისათვის, რომ სასკოლო მზაობას სავალდებულო სახე მიეცეს? როგორც ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსმა აღნიშნა, სასკოლო მზაობის გავლა ნამდვილად არ არის სპონტანურად მოფიქრებული სიახლე და დიდი ხანია, სამინისტრო ამაზე მუშაობს: *„ჯერ კიდევ 2012-13 წლებში დავიწყეთ ფიქრი სასკოლო მზაობის პროგრამაზე, რომელსაც სავალდებულოდ გავხდიდით. პროგრამის დაწერა ყველაზე მარტივია იმ დანარჩენ ინტერვენციასთან შედარებით, რაც ამ სფეროში უნდა განახორციელოს სახელმწიფომ. უპირველესად, ეს არის ინფრასტრუქტურული ხელმისაწვდომობა. როგორც ვიცით, ბევრი ბავშვისთვის სკოლამდელი განათლება სწორედ სათანადო ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო არ არის ხელმისაწვდომი. მეორე სერიოზული საკითხი, რაც უნდა გადავჭრათ, მასწავლებელთა კვალიფიკაციაა. არსებული კანონმდებლობით, ბაღებში გვყავს აღმზრდელები, თუმცა, ჩვენ სულ ვაყენებდით საკითხს, რომ ისინი არ უნდა იყვნენ მხოლოდ აღმზრდელები, არამედ – აღმზრდელ-პედაგოგები. რადგან სკოლამდელ დაწესებულებაში საგანმანათლებლო კომპონენტი უნდა შევიდეს და ის მხოლოდ სერვისებზე ორიენტირებული ინსტიტუცია არ უნდა იყოს, უმჯობესია, ასწავლოს პედაგოგმა და არა აღმზრდელმა.*

მომზადდა კანონპროექტი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, რომელიც ექსპერტიზისა და უკუკავშირის პროცედურებს გადის; შემუშავდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტრატეგიის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა; ასევე, მოვამზადეთ სკოლამდელი სწავლისა და განვითარების სტანდარტები, რომელიც უნივერსალურია და პუბლიკაცია ყველა საჯარო სკოლამდელი განათლების დაწესებულებას შევთავაზეთ. მომზადებული გვაქვს სასკოლო მზაობის დიდი პაკეტი, რომელზეც 2013-14 წლებში, იუნისეფთან ერთად, საერთაშორისო ექსპერტები მუშაობდნენ, მათ შორისაა სასკოლო მზაობის კონცეფციის დოკუმენტი, ანუ სასწავლო გეგმა და მასწავლებელთა გზამკვლევი. მზადაა სასკოლო მზაობის პროგრამა, რომელიც რამდენიმე ბლოკისგან შედგება – დაწყებული იმით, თუ რა კომპეტენციები უნდა განუვითაროს სასკოლო მზაობის პროგრამამ ბავშვს, დამთავრებული იმ მინიმალური რეკომენდებული რესურსების ჩამონათვალით, რომელიც სასურველია, ჰქონდეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას, როდესაც ბავშვს პროგრამას შესთავაზებს. ზაფხულში იგეგმება ყველა იმ აღმზრდელ-პედაგოგის გადამზადება, რომლებიც ამ ჯგუფებში შევლენ – სატრენინგო მასალების დიდი პაკეტი საბოლოო რედაქტირების პროცესშია.

ჩვენი სურვილია, რომ სასკოლო მზაობის პროგრამა სავალდებულო გახდეს ყველა მუნიციპალიტეტისთვის და ყველა ბავშვს მიეცეს შესაძლებლობა, ჩაერთოს პროგრამაში და განივითაროს საჭირო უნარები, რათა ადვილად შეძლოს სკოლაში სწავლის გაგრძელება. ეროვნული სასწავლო გეგმების ექსპერტები ჩართულები იყვნენ სასკოლო მზაობის პროგრამის ვალიდიზაციაში, რათა სასკოლო მზაობის პროგრამისა და ეროვნული სასწავლო გეგმის ბმა იყოს რელევანტური და არანაირი შეფერხება არ გამოიწვიოს ბავშვის განვითარების მიმართულებით.“

სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტმა **ანა ჯანელიძემ** აღნიშნა, რომ სასკოლო მზაობის პროგრამის შემუშავება 2014 წლის ზაფხულში დაიწყო და მის მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონსულტანტები, შესაბამისად, გათვალისწინებულია საერთაშორისო გამოცდილება: *„მთავარი კომპონენტები, რაც სასკოლო მზაობის პროგრამას პირველი კლასის პროგრამებისგან განასხვავებს, არის ის, რომ 5 წლის ასაკის ბავშვების პროგრამა დაფუძნებულია თამაშზე, აქტიურ სწავლაზე, კვლევაზე. ბავშვების დღის განრიგი და აქტივობები ნაკლებად ორგანიზებულია, ვიდრე სკოლაში. ბავშვის ასაკობრივი და განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სკოლამდელი და სასკოლო მზაობის სააღმზრდელო-სასწავლო პროცესები ბავშვის საჭიროებებს და ინტერესებს მოვარგოთ. პროგრამა და მისი პრინციპები მთლიანად გაჯერებულია ბავშვის უფლებების პატივისცემით, მისი, როგორც პიროვნების, აღიარებით. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია ბავშვებს შორის მეგობრული, არაკონფლიქტური ურთიერთობების ჩამოყალიბება, მათი ემოციური სიჯანსაღის ხელშეწყობა და ა.შ. რა თქმა უნდა, სასკოლო მზაობის პროგრამა გულისხმობს წიგნიერებისა და რაოდენობრივი უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც კლასიკურად აკადემიურ სფეროდ მოისაზრება. ასევე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა სოციალურ-ემოციური, ზოგადად, საზრდოვნო უნარ-ჩვევები, შემოქმედებითი, ლოგიკური აზროვნება და ა.შ. ეს ის ძირითადი თანმდევი პრინციპებია, რომლებიც საფუძვლად უდევს სასკოლო მზაობის პროგრამას.“*

2003 წლის მონაცემებით, საბავშვო ბაღებში ბავშვების მხოლოდ 23 პროცენტი დადიოდა, 2013 წელს მათი რიცხვი 58 პროცენტს გაუტოლდა. ზრდა იმ დიდი ძალისხმევის შედეგია, რასაც გაეროს ბავშვთა ფონდი ამ მიმართულებით ახორციელებდა. როგორც იუნისეფის განათლების პროგრამის ხელმძღვანელმა **მაია ყუფარაძემ** აღნიშნა: *„2006 წელს, სკოლამდელი განათლების სისტემაში, დავიწყეთ თემზე ორიენტირებული მუშაობა. ეს ის პერიოდია, როცა ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი ძალიან დაბალია და სკოლამდელი განათლება ინტერესმოკლებული ან გაიგივებულია მხოლოდ სოციალურ საქმიანობასთან – იქ ბავშვებს მხოლოდ კვებავენ ან აძინებენ. სკოლამდელი დანიშნულება კი ბავშვის განვითარებაა. ხარისხიანი სკოლამდელი განათლება ბავშვის წარმატებული ქცევისა და სწავლის საწინდარია სკოლაში და მთელ შემდგომ ცხოვრებაში.*

წლების განმავლობაში ინტენსიური თანამშრომლობა გვქონდა ადგილობრივ თვითმმართველობებთან, საბავშვო ბაღის გამგეებთან, მასწავლებლებთან. პრაქტიკულად, ეს საკმაოდ დაფინანსებული სექტორია, მაგრამ არ არსებობს არავითარი სტანდარტი, რომელიც ეტყვის თვითმმართველობას, როგორ უნდა მართოს და რა არის ხარისხი, რომელსაც სკოლამდელ განათლებაში მოვითხოვთ; რა არის ის კომპეტენცია და კვალიფიკაცია, რომლითაც აღმზრდელმა უნდა ისწავლოს და კიდევ სხვ. არ არსებობდა ბავშვის განვითარების სტანდარტები, პროგრამები. რეალურად დიდ გამოწვევას დავუპირისპირდით – ჩვენს პარტნიორებთან ერთად შევქმენით ბავშვის განვითარების მაღალპროფესიული სტანდარტი და მთელი რიგი პროგრამები, რომელიც პირდაპირ მიუთითებს აღმზრდელს, როგორ უნდა იმუშაოს, რა პედაგოგიური მიდგომები გამოიყენოს, რომ ბავშვისთვის საბავშვო ბაღში გატარებული დრო მნიშვნელოვანი გახდეს არა მხოლოდ კვების და ძილის თვალსაზრისით, არამედ მისი განვითარების, მოქალაქედ ჩამოყალიბების თვალსაზრისითაც.

სტანდარტი, რომელსაც მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და არც ერთი ხელისუფლების ორგანო არ არის ვალდებული სტანდარტებს სავალდებულო ხასიათი მისცეს, თვითმმართველობების და მუნიციპალიტეტების ძალიან მცირე ნაწილმა მიიღო და დანერგა, ანუ რეალურად არც თუ ისე სახარბიელო რეზულტატზე გავედით – არ დაინერგა იმ მასშტაბით, როგორითაც ველოდებოდით. თუმცა, წლების განმავლობაში, თემზე ორიენტირებულმა, ინტენსიურმა მუშაობამ შედეგი მაინც გამოიღო. თუნდაც იმიტომ, რომ ძალიან დიდი ინტერესი გაჩნდა მშობლების მხრიდან სკოლამდელი განათლების მიმართ, რეალურად გაიზარდა ბავშვთა ჩარიცხვა სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში.

მაგრამ, ალბათ, უფრო მეტია საჭირო ხელმისაწვდომობისა და ხარისხის ზრდის თვალსაზრისით. სისტემაში რომ გავიდეს, მას ძალიან ჭკვიანად გააზრებული სტრატეგია უნდა მართავდეს. ეს იყო, ალბათ, საქართველოში ერთადერთი სფერო, რომელსაც არ გააჩნდა სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა.

თვითმმართველობის კანონში სკოლამდელ განათლებას, დაახლოებით, ნახევარი გვერდი ეთმობოდა, სადაც ეწერა, რომ ის თვითმმართველობის პასუხისმგებლობის ქვეშაა და უფასოა, მაგრამ არ არსებობდა არანაირი სტანდარტი, შინაარსი, ხელმისაწვდომობა, კომპეტენციები, ხარისხის მონიტორინგი, პასუხისმგებლობები, რომელიც ამას ყველაფერს დაარეგულირებდა.“

იუნისეფის და მისი პარტნიორების მიერ სხვადასხვა პროგრამებისა თუ პროექტების განხორციელების შედეგად გამოიკვეთა, რომ სისტემა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად სავალდებულოა ბავშვებისა და საზოგადოებისთვის, როგორც უზარმაზარი პოტენციალი და ინვესტიცია ქვეყნის ცივილური განვითარებისათვის, საჭიროებდა საკანონმდებლო ბაზის შექმნას, რომელიც ბაღების დეცენტრალიზებული მართვის მიუხედავად, ერთ ქოლგა დოკუმენტის ქვეშ მოაქცევდა ამ დაწესებულებებს.

„ამ ეტაპზე ახალ კანონზე მიმდინარეობს მუშაობა. იგი თავისი არსით ინოვაციურია. კანონპროექტით მიღებულია სამსაფეხურიანი სწავლების სისტემა. ეს არის ბავშვის ადრეული განათლება და ზრუნვა, დაბადებიდან 2 წლამდე, შემდეგი – 2 წლიდან 3 წლამდე და 3 წლიდან ბავშვის სკოლაში წასვლამდე. პირველი საფეხური ადრეული განათლებაა, მეორე – სკოლამდელი განათლება და მესამე საფეხური ინოვაციურია, რომელიც წინა სასკოლო მზაობის პერიოდს მოიცავს. ინოვაციური რაც აქვს ამ კანონს და რაც საერთაშორისო საზოგადოებაშია დანერგილი, ისაა, რომ იგი ხელისუფლებას ავალდებულებს, ცენტრალურ დონეზე, მიუხედავად იმისა, რომ სკოლამდელი განათლება დეცენტრალიზებულია, შექმნას მართვის სისტემები და რეგულაციები, რომელიც სავალდებულო სახით უნდა მიიღონ და განახორციელონ თვითმმართველობებმა.

ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ კანონი განსაზღვრავს რა კვალიფიკაციებს და კომპეტენციებს უნდა ფარავდეს სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელი. სახალხო დამცველის ბავშვთა უფლებების ცენტრმა ჩაატარა კვლევა სკოლამდელ დაწესებულებებში და გამოიკვეთა, რომ დაწესებულებების 70 პროცენტში ადგილი აქვს ბავშვზე ემოციურ, ფსიქოლოგიურ თუ ფიზიკურ ძალადობას, გაუაზრებლად ან გააზრებულად. არ შეიძლება ამაზე საზოგადოებამ თვალი დახუჭოს. თუ როგორ შეიძლება ბავშვთა დაცვა ძალადობისაგან, სკოლამდელი განათლების დონეზე, ამას კანონპროექტი ერთ-ერთი რეგულაციის სახით გვთავაზობს.“

სასკოლო მზაობა

იუნისეფის განათლების პროგრამის ხელმძღვანელმა ყურადღება გაამახვილა სტატისტიკის არარსებობაზე – ქვეყანაში, სადაც 71 მუნიციპალიტეტია, არ არსებობს ერთიანი მონაცემების ბაზა, რამდენი სსსმ ბავშვისთვისაა ხელმისაწვდომი სკოლამდელი განთლება ან საერთოდ, რამდენი ბავშვი სწავლობს სკოლამდელ დაწესებულებაში. *„ნებისმიერ თქვენგანს რომ მოგინდეთ ერთიანი სტატისტიკის ნახვა – რამდენი ბავშვია სკოლამდელ განათლებაში ჩართული ან რამდენი აღმზრდელი, რამდენია გოგო ან ბიჭი – თქვენ ამას ვერ გაიგებთ. სტატისტიკით ვერც იმას შეიტყობთ, რამდენი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი დადის ბაღში, მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ არ არსებობს დაჯამებული სტატისტიკა. თვითმმართველობების ვებგვერდზე, დიდი ძალისხმევის შედეგად, შეიძლება მხოლოდ გაფანტული სტატისტიკა მოიძიოთ. ჩვენ აუცილებლად გვჭირდება ინდიკატორების ერთიანი უნივერსალური სისტემა და მონაცემთა ბაზის შექმნა.“* – აცხადებს **მაია ყუფარაძე**.

პარლამენტის წევრმა **სერგო რატიანმა** კანონის და სტანდარტის შექმნა ძალიან მნიშვნელოვან და საჭირო საქმედ შეაფასა და დასვა კითხვა: *„საიდან ვიწყებთ? ერთია, რომ ვმსჯელობთ თეორიაზე და მეორეა, ფაქტობრივად რა კომპონენტს ვცვლით სახელმწიფოში. როგორც ვიცით, რეალურად ბაღებს ბავშვების 60 პროცენტის მოცვა შეუძლია, ანუ ჩვენ ვდგავართ რეალობის წინაშე, როცა სრულად ვერ დავაკმაყოფილებთ ბავშვების სკოლამდელ დაწესებულებებში მიყვანას. რასაკვირველია, ძალიან კარგია, რომ მოამზადეთ სტანდარტი და პროგრამა, რომელიც თვითმმართველობებმა უნდა განახორციელონ, მაგრამ სრულად რომელი კომპონენტის განხოცრიელებას შეძლებს სახელმწიფო და რა თანხა იდება ამაში?“*

შეხვედრას ესწრებოდა საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი, დეპუტატი **კობა სუბელიანი.** მან საბავშვო ბაღებში ფართის ნაკლებობით გამოწვეულ პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება: *„რა ეშველება ბავშვების იმ 40 პროცენტს, რომლებიც მხოლოდ იმიტომ ვერ დადიან საბავშვო ბაღებში, რომ ადგილი არ არის, მათთვის საკმარისი ფართი და ინფრასტრუქტურა არ არსებობს. რას უპირებს სახელმწიფო მათ?*

დეპუტატების შეკითხვებს **ნათია ჯოხაძემ** უპასუხა: *„სასკოლო მზაობის პროგრამის გავლა რომ სავალდებულო უნდა გახდეს, ამ მოსაზრებას ყველა ექსპერტი ეთანხმება. ბავშვი, რომელსაც არ აქვს სასკოლო მზაობის პროგრამა გავლილი, უფრო დაბალ შედეგებს აჩვენებს, ვიდრე ის, ვისაც გავლილი აქვს. თავისუფალი პრინციპი არსებობს: თუ მშობლები მიიჩნევენ, რომ ეს პროგრამა ბავშვმა უნდა გაიაროს, მათთვის ხელმისაწვდომი იქნება.*

სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, რომ ყველა ბავშვს, საქართველოს მასშტაბით, მიეცემა სასკოლო მზაობის პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობა. ინფრასტრუქტურა ნამდვილად არ გვაქვს საკმარისი რაოდენობის (ვგულისხმობ საბავშვო ბაღების შენობებს), განსაკუთრებით უჭირს დიდ ქალაქებს. შენობების დიდი ნაწილი აღარც არის ბაღების საკუთრებაში, ან ფუნქცია აქვს შეცვლილი, ან არ არის უსაფრთხო და ა.შ. აქედან გამომდინარე, სამინისტრომ ამ მიმართულებითაც იმუშავა და აღწერა საჯარო სკოლებში არსებული თავისუფალი და შესაძლო ადეკვატური ფართი, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ სასკოლო მზაობის პროგრამის განსახორციელებლად. არც ერთი ბავშვი რომ არ დარჩეს ამ პროგრამის მიღმა, განათლების სამინისტრო მის განკარგვაში არსებულ რესურსს სწორედ ამ მიზნისთვის გამოიყენებს. მაქვს ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ თბილისის მერიამ გამოყო ბიუჯეტი ამ ოთახების სათანადოდ აღჭურვისთვის. თუმცა, იქ, სადაც ადგილობრივ ხელისუფლებას აქვს რესურსი და ფართი, რომ ეს პროგრამა განახორციელოს – სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, რასაკვირველია, იმ შენობაში გაიხსნება ჯგუფები, ვისაც დამატებითი ფართი დასჭირდება, სწორედ მათ შევთავაზებთ სკოლაში მოძიებულ ფართს.

ერთ-ერთ წინაპირობად, სასკოლო მზაობის პროგრამის ძალიან მოკლე ვერსიაში, სწორედ ინფრასტრუქტურა ჩავდეთ, რომელიც ითვალისწინებს ყველა მოთხოვნას, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს საკლასო ოთახი, სადაც ბავშვებს სასკოლო მზაობის პროგრამის გასავლელად შევიყვანთ.“

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინოვაცია, რომელსაც სკოლამდელი განათლების კანონპროექტი გვთავაზობს, აღმზრდელის პედაგოგის რანგში გადაყვანაა, რათა ის მასწავლებლის სტატუსს დაუახლოვდეს. მაგრამ ვიდრე აღმზრდელები კანონით მინიჭებული სტატუსით ისარგებლებენ, სასკოლო მზაობის პროგრამის უკეთ დანერგვის მიზნით, მათ ტრენინგის გავლა მოუწევთ. *„რაც არ უნდა კარგი იყოს სტანდარტი, თუ აღმზრდელ-პედაგოგი სათანადოდ არ არის გადამზადებული, ის ხარისხიან განათლებას ბავშვს ვერ მისცემს* – აცხადებს **ნათია ჯოხაძე**, – *ამიტომაც შეიქმნა ტრენინგ-მოდული და პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ დაგეგმილია მასწავლებელთა გადამზადება. მინდა იმაშიც დავარწმუნო ყველა, რომ არც ერთი ბაღის აღმზრდელი არ იქნება განთავისუფლებული. პირიქით, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანური რუსურსი. ამიტომაც, ვეცდებით, ხელი შევუწყოთ მათ, რომ სათანადოდ მომზადებულებმა დაიწყონ სასკოლო მზაობის პროგრამის დანერგვა. რაც შეეხება სტატუსს – პედაგოგი თუ აღმზრდელი? ხედვა ჩამოყალიბებულია და როგორც კი კანონი იქნება მიღებული, ჩვენ აღარ გვეყოლებიან მხოლოდ აღმზრდელები, მათ აღმზრდელ-პედაგოგები ერქმევათ.“*

დისკუსია ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსის თხოვნით დასრულდა: *„იმისთვის, რომ შევძლოთ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიანი დანერგვა, თხოვნა მაქვს მთელ საზოგადოებასთან, დაგვიდექით გვერდში, რომ რეალურ პრიორიტეტად ვაქციოთ სკოლამდელი განათლება და პირველ ეტაპზე, მთელი საქართველოს მასშტაბით, ინფრასტრუქტურული ხელშეწყობა უზრუნველვყოთ. სამინისტრო, რასაკვირველია, ამას მხარს უჭერს და ლობირებს, მაგრამ, ბუნებრივია, მოქალაქეების სურვილიც უნდა იყოს, რომ სახელმწიფომ სკოლამდელი განათლება პრიორიტეტად აღიაროს და დიდი ფინანსური ინვესტიცია სწორედ სკოლამდელ განათლებაში ჩადოს.“*

სასკოლო მზაობის პროგრამის პილოტირება 2015 წელს იგეგმება და ის სავალდებულო სახეს 2016 წლიდან მიიღებს. მანამ კი, პროგრამის გავლის მსურველები, ისევე უნდა დარეგისტრირდნენ ბაღებში, როგორც დანარჩენი აღსაზრდელები. სასკოლო მზაობის პროგრამით გათვალიწინებულ სამსაათიან საგაკვეთილო პროცესს, ბავშვები „თამაშით სწავლების“ აქტივობებით გაივლიან და რაც მთავარია, ისინი, შეთავაზებულ აქტივობებს დამოუკიდებლად აირჩევენ.

როგორი მომზადებული ხვდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ამ ინიციატივას მერიის ბაღების სააგენტო, ამის შესახებ მერიის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილე **ნინო ბურძენიძე** აცხადებს, რომ ბაღებში პროგრამის დასანერგად მათი მხრიდან აბსოლუტური მზაობაა. თუმცა, მისივე თქმით, ადგილების შეზღუდული რაოდენობა, ჯერჯერობით, ისევ პრობლემად რჩება – ყველა მსურველის დაკმაყოფილება, ისევე როგორც წინა წლებში, წელსაც ვერ მოხერხდება. *„ეს ბაღების კი არა, ქვეყნის პრობლემაა, თუმცა მიმდინარეობს ბაღების მშენებლობა, დაემატება ახალი ჯგუფები, რაც ბაღის მიღმა დარჩენილთა რაოდენობას მინიმუმამდე დაიყვანს, მაგრამ პრობლემას სრულად ვერ მოხსნის“ .*

ლალი ჯელაძე

P.S. წერილის მზადების პროცესში 6 წლამდე ბავშვების მშობლებმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ხმაურიანი აქცია გამართეს ლოზუნგით: „ნუ დატოვებთ სკოლის გარეშე 20 000-ზე მეტ ბავშვს“, „შეუშვით ბავშვები სკოლაში“. მათი აზრით, მინისტრი გაუგებარ და არალოგიკურ შეზღუდვებს უწესებს ბავშვებს და ამიტომ ისინი თამარ სანიკიძესთან შეხვედრას ითხოვდნენ. მინისტრი მათ შეხვდა, თუმცა მშობლებმა შეხვედრა რამდენიმე წუთში ეტაპობრივად დატოვეს და აცხადებდნენ, რომ აუდიენცია არაფრის მომცემი აღმოჩნდა, რადგანაც მინისტრი საკუთარი პოზიციის დასაბუთებას ცდილობდა და მშობლების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დათმობაზე წასვლას არ აპირებდა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 6 წლამდე ასაკის ბავშვების სკოლაში შესვლის საკითხზე გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს. **თამარ სანიკიძის** განცხადებით: *„გადაწყვეტილება მიღებულია და, შესაბამისად, დასაბუთებაც წარდგენილია. ახლა თავიდან ბოლომდე პარლამენტზეა დამოკიდებული, რას და როგორ იმსჯელებს, თუმცა ძალიან ბევრი ფაქტორის გათვალისწინება მოუწევს. ეს რეალობა ყოველთვის არსებობდა, უმცირესობის წარმომადგენლები მყავს მხედველობაში, რომლებმაც ეს თემა დღის წესრიგში დააყენეს და ამით სპეკულირებას ახდენენ. ეს უნდა დასრულდეს, რადგან ბავშვები არ გახდნენ სპეკულირების მსხვერპლნი“.*

სასკოლო აქტივობა

სულხან-საბას იგავები – საყმაწვილო ანიმაცია

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში 47-ე საჯარო სკოლის (დირექტორი – **ირმა ხუციშვილი**) პროექტის „სულხან-საბას იგავები – საყმაწვილო ანიმაცია“ პრეზენტაცია გაიმართა. პროექტს ხელმძღვანელობდა ესთეტიკური აღზრდის კათედრის ხელმძღვანელი **ნინო ალექსიძე**. ღონისძიებას ესწრებოდნენ: ძველი თბილისის რაიონის რესურსცენტრის ხელმძღვანელი **ეკატერინე ხუციშვილი**, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **ანა კლდიაშვილი**, პედაგოგები, სტუდენტები და მშობლები.

პროექტის მიზანი იყო წიგნის ილუსტრირების ხელოვნების შესწავლა, მხატვრული გარდასახვისა და შემოქმედებითი ფანტაზიის საფუძველზე სახელოვნებო უნარების განვითარება.

პროექტის ფარგლებში გაიმართა: XVIII საუკუნის საქართველოს კულტურული ქრონიკის პრეზენტაცია; სულხან-საბას იგავების გახმოვანებული ანიმაცია; ხელნაწერი წიგნების პრეზენტაცია; მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. პროექტში მონაწილეობდნენ მოსწავლეები, V-დან XII კლასის ჩათვლით. ბავშვებმა დაასურათეს და გაახმოვანეს სულხან-საბა ორბელიანის 70 იგავ-არაკი. დასკვნით ღონისძიებაზე წარდგა 13 გამარჯვებული იგავი. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მოსწავლეების თვალით დანახული და გაცოცხლებული იგავების პერსონაჟები, თეატრალური ინსცენირება, ვიოლინოზე შესრულებული მუსიკალური ვარიაციები. დიდი ინტერესი გამოიწვია მოსწავლეთა ნახატების და დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენამ. გამოფენას ხელმძღვანელობდა ხელოვნების პედაგოგი **თინათინ გაბოძე**.

მოსწავლეებმა მადლობა გადაუხადეს ქალბატონ ეკატერინე ხუციშვილს თანადგომისთვის, ზრუნვისთვის და მეგობრობისთვის. ბავშვებმა სტუმრებს საჩუქარი გადასცეს – საკუთარი ილუსტრაციებით გაფორმებული ხელნაწერი წიგნები. ქალბატონმა ეკატერინემ დადებითად შეაფასა სკოლის მიერ განხორციელებული პროექტი და მოსწავლეებს წარმატებები უსურვა.

ხელოვნების სახელმძღვანელოების ავტორი ანა კლდიაშვილი მჭიდროდ თანამშრომლობს 47-ე საჯარო სკოლასთან. ქალბატონი ანა მუდმივ კონსულტაციას და დახმარებას უწევს სასწავლო პროცესს ხელოვნებაში. ეს თანამშრომლობა განსაკუთრებით სასარგებლო და საყვარელია ბავშვებისთვის. მან გამარჯვებული იგავ-არაკების მხატვრები სიგელებით დააჯილდოვა. სიგელები გადაეცათ: **ელენე დავითაშვილს, ანა გვაგვალიას, ეკატერინე მჭედლიძეს, ანა კაპანაძეს, ქეთი ჟვანიას, ლელა სიხარულიძეს, ლიზი თავაძეს, მარიამ ბენაშვილს, ელენე ახმეტელს, მარიამ ხუცურაულს, მარიამ ომარაშვილს, გიორგი მჟავანაძეს, ნინო ბერიძეს** და **მეგი ონიანს**.

სკოლის დირექტორმა ირმა ხუციშვილმა სიგელები გადასცა პროექტში ჩართულ ყველა მონაწილეს და ისაუბრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასთან თანამშრომლობის აქტუალობაზე, სამომავლო გეგმებზე და მადლობა გადაუხადა ყველა სტუმარს სკოლის წარმატების გაზიარებისთვის.

ნინო ალექსიძე
47-ე საჯარო სკოლის ესთეტიკური აღზრდის კათედრის ხელმძღვანელი

პედაგოგთა დასახმარებლად

გერმანული ენა

მოსწავლეთა პრეზენტაციები და მოხსენებები

სოფიო დედალამაზიშვილი

პრეზენტაციები და მოხსენებები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და შესასწავლი მასალის უკეთესად გაგაზრებას და ათვისებას უწყობს ხელს. იმისათვის, რომ შედეგზე გავიდეთ, პრეზენტაციაც და მოხსენებაც სწორად უნდა იყოს დაგეგმილი და ორგანიზებული. ძირითადად, გაუგებრობას იწვევს განსხვავება მოხსენებასა და პრეზენტაციას შორის. ხშირად ორივე ტერმინი სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება, რადგან პრეზენტატორები, ორივე შემთხვევაში, რაღაც საკითხს წარმოადგენენ. განსხვავების თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად წარმოგიდგენთ პრეზენტაციის და მოხსენების დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს.

1. პრეზენტაცია:

- ჯგუფური მუშაობის შედეგი;
- ჯგუფები წარმოადგენენ თვითონ;
- აუცილებლად ვიზუალიზირებულია;
- თემა და განსახილველი საკითხი წინა პლანზე დგას.

მიზნები:

- ინფორმაციის მიწოდება;
- დარწმუნება;
- კომუნიკაცია.

მედიასაშუალებები:

- პროექტორი;
- დაფა;
- პლაკატი;
- კედლის გაზეთი;
- ფლიპ ჩარტი;
- კომპიუტერი.

2. მოხსენება:

- მარტო მუშაობის შედეგი;
- ერთი ადამიანი საუბრობს;
- ვიზუალური მასალა სავალდებულო არაა;
- წინა პლანზე პიროვნებაა წამოწეული.

მიზნები:

- დარწმუნება;
- დაფიქრება;
- დისკუსიის გამოწვევა.

დამხმარე საშუალებები:

- ხმა და მომხსენებლის მეტყველება.

მოსწავლეთა პრეზენტაციები მოიცავენ ინფორმაციის გადამუშავების ფაზებს და ისინი გაკვეთილის დამაგვირგვინებელ, ბოლო ფაზაში იგეგმება. არსებობს პრეზენტაციების ორგანიზების სხვადასხვა ფორმები:

1. კლასის წინაშე პრეზენტირება

ესაა ყველაზე ხშირად გამოყენებადი ფორმა. ასეთი ტიპის პრეზენტაცია გაკვეთილის ბოლო ნაწილში იმართება. იმ შემთხვევაში, თუ ცალკე გაკვეთილი ეთმობა, შესაძლებელია მთელი გაკვეთილი მივუძღვნათ. დადებითი მხარე ისაა, რომ შედარებით უპრობლემოა მისი ორგანიზება და შესაძლებელია, რომ საკითხი საბოლოოდ ერთობლივად იქნეს განხილული. უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ უმეტესად მხოლოდ მოსწავლეების ნაწილი ასწრებს პრეზენტაციის გაკეთებას.

2. მაგიდის ირგვლივ პრეზენტირება

ეს ფორმა ეფუძნება ჯგუფში თანაბრად გადანაწილებული დავალებების ფორმატს. ჯგუფები ამუშავებენ სასწავლო მასალას და ამზადებენ პრეზენტაციას, რომელიც მაგიდის ირგვლივ იმართება. ეს მეთოდი შემდეგი ფორმულირებითაც გვხვდება: „ერთი რჩება – სამი მიდის“. ჯგუფური მუშაობის ბოლოს გამოიყოფა ერთი წევრი, რომელიც რჩება, ხოლო დანარჩენები სხვა მაგიდებთან ნაწილდებიან. „მასწავლებლები“ მაგიდებთან ატარებენ პრეზენტაციას. ეს ფორმა მოსწავლეებში ძალიან პოპულარულია.

3. პრეზენტაცია – „გალერეის დათვალიერება“

ამ მეთოდის გამოყენებისას საკლასო ოთახის რამდენიმე კუთხეში ერთდროულად მიმდინარეობს პრეზენტაცია. მოსწავლეები ისე გადაადგილდებიან, როგორც სურათების გალერეაში, ერთი ზონიდან მეორე ზონაში და ერთმანეთს საკუთარ შედეგებს წარუდგენენ. ორგანიზების ეს ფორმა საშუალებას იძლევა, ყველა მოსწავლეს მაქსიმალური პასუხისმგებლობა დაეკისროს და ყველა იყოს ინტეგრირებული პროცესში. ამის საფუძველზე „გალერეაში“ სიარული კოოპერატიული სწავლების ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

4. პრეზენტაციები კლასის გარეთ

მოსწავლეებს შეუძლიათ პრეზენტაციები იმისათვის მოამზადონ, რომ, პროექტის დღეებში და სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებისას, მშობლების თანდასწრებით წარმოადგინონ. მასწავლებლებს შეუძლიათ აგრეთვე შეთანხმდნენ, რომ საპრეზენტაციო ჯგუფები, პარალელური კლასებიდან, ერთმანეთს ეწვიონ. ამ ტიპის პრეზენტაციები შეიძლება მოეწყოს კლასის წინაშე პრეზენტაციების შემდგომ გადამუშავებული მასალების საფუძველზე. პრეზენტაციის ეს ფორმა მაქსიმალურად ახლოსაა ცხოვრებისეულ მოთხოვნებთან და სოციალური უნარების განვითარებას უწყობს ხელს.

კარგი პრეზენტაცია ძალიან ამაღლებს მოსწავლეთა საგნობრივ და კომუნიკაციურ უნარებს;

წარმოდგენილი მასალა მათ კარგად ამახსოვრდებათ;

ერთხელ შეძენილი პრეზენტირების ტექნიკა აღარასოდეს ავიწყდებათ;

ემატებათ თავდაჯერებულობა და გამბედაობა.

რას უნდა მივაქციოთ ყურადღება პრეზენტაციის დაგეგმვისას

ა) მომზადების ფაზაში:

1. კარგად გააანალიზეთ, რა შინაარსის თემებია პრეზენტაციისათვის შესაბამისი და იძლევა თუ არა ეს საკითხი ჯგუფში დავალებების გადანაწილების საშუალებას;
2. დავალების პირობა ჩამოაყალიბეთ რაც შეიძლება ზუსტად და მიეცით სტრუქტურა:

რა საკითხი უნდა დამუშავდეს?

როგორ უნდა დამუშავდეს?

რა უნდა იქნეს პრეზენტირებული?

მესამე პუნქტის ირგვლივ მიეცით მითითებები ვიზუალური მხარის და პრეზენტაციის ხანგრძლივობის შესახებ;

3. დაადგინეთ პრეზენტაციის ფორმა – კლასის წინაშე, ჯგუფებში თუ გალერეის სახით.

ბ) პრეზენტაციის დაწყების წინ:

4. იზრუნეთ მაგიდების და სკამების შესაბამის განლაგებაზე. გადაანაწილეთ ისე, რომ პრეზენტატორებსა და მაყურებლებს შორის მხედველობითი კონტაქტის საშუალება იყოს;
5. ყურადღება მიაქციეთ, რომ მაყურებლები ისევ საკუთარი მასალის მომზადებით არ იყვნენ დაკავებული;
6. გადაუნაწილეთ რაც შეიძლება მეტი პასუხისმგებლობა პრეზენტატორებს. მაგალითად, მათ მხოლოდ მაშინ უნდა დაიწყონ, როცა კლასში სიმშვიდე დაისადგურებს და ყურადღება მათკენ იქნება მიმართული;
7. წინასწარ მოიფიქრეთ, რა ფორმით შეარჩევთ ჯგუფების პრეზენტაციის განრიგს.

გ) მასწავლებლის ქცევა პრეზენტაციის დროს:

1. ოთახში ისეთი ადგილი აირჩიეთ, საიდანაც პრეზენტატორებს და კლასს კარგად ხედავთ;
2. შეეცადეთ, არ შეაწყვეტინოთ პრეზენტატორებს;
3. ჩაინიშნეთ თქვენთვის საკვანძო საკითხები, პრეზენტაციის ძლიერი და სუსტი მხარეები, შეფასებისთვის.

დ) განხილვა:

4. მიეცით საშუალება ჯერ მაყურებლებმა გამოთქვან საკუთარი აზრი;
5. პირველ რიგში, აღნიშნეთ დადებითი მხარეები;
6. კომენტარის გაკეთებისას გაითვალისწინეთ წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმები;
7. ყოველი პრეზენტაციის განხილვის წინ კარგად ჩამოყალიბდით, რაზე გინდათ აქცენტის გაკეთება.

აღნიშნული რჩევების გათვალისწინებით შესაძლებელი იქნება პრეზენტაციებისა და მოხსენებების სასწავლო პროცესში წარმატებული ინტეგრირება, მოსწავლეების დაინტერესება და უკეთესი შედეგის მიღწევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ვოლფგანგ მატესი, მეთოდები გაკვეთილისათვის. გამომცემლობა Schöningh

ინგლისური ენა

თარგმანი უცხო ენის გაკვეთილზე - მითი თუ რეალობა?

ეკა ტყავაშვილი

თარგმანი უცხო ენების სწავლების ისტორიაში, სხვადასხვა პერიოდში, ან მიღებული იყო, ან უარყოფილი. მისი გამოყენება-არგამოყენება დამოკიდებული იყო სწავლების მიზნებზე და მასწავლებლის სტილზე. თარგმანი გრამატიკულ-მთარგმენლობითი მეთოდის სწავლებისა და შეფასების განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. ეს მეთოდი *„ეყრდნობოდა იმ ლინგვისტურ თვალსაზრისს, რომ არსებობს ყველა ენის ერთი და იგივე ზოგადი გრამატიკა, ლექსიკური ცნებები ერთნაირია სხვადასხვა ენებში; ენა გაიგივებულია აზროვნებასთან, ცნება – სიტყვასთან, ენა განიხილება, როგორც გაყინული ლოგიკური კატეგორია“* (ლ. გიორგობიანი, ლ. კახიშვილი, გ. მაცხონაშვილი, რ. ქვლივიძე. „უცხოური ენების სწავლების თეორია და მეთოდიკა“. გამომცემლობა „ენა და კულტურა“. თბილისი 2004. გვ. 300). მეორე მხრივ, პირდაპირი მეთოდის მომხრე თეორეტიკოსები მისი, როგორც სწავლების ხერხის, მნიშვნელობას აკნინებდნენ და საერთოდ განდევნიდნენ ენის გაკვეთილებიდან. ისინი ცდილობდნენ, მშობლიური ენის გვერდის ავლით, უცხოური ენების სიტყვებისა და გრამატიკული მოვლენების დაკავშირებას შესატყვის მნიშვნელობასთან. მათი მტკიცებით, ყოველი ენისთვის დამახასიათებელია ცნებათა საკუთარი სისტემა. მოგვიანებით, კოგნიტური სწავლის თეორიამ თარგმანის სასარგებლოდ საფუძვლიანი არგუმენტი წამოაყენა. როგორც ცნობილია, ამ თეორიის მომხრეები დიდ ყურადღებას უთმობდნენ შეგნებულობას და გააზრებულობას ცოდნის ათვისებისას. ამგვარად, მათთვის ამოსავალი პრინციპი იყო უცხოენოვანი მასალის მიზანმიმართული შეპირისპირება მშობლიური ენის შესაბამის მოვლენებთან.

რაც შეეხება კომუნიკაციურ მეთოდს, მისი ამოსავალი პრინციპია ყოველდღიურ ურთიერთობაში ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა, რომელიც იმას გულისხმობს, რომ მოსაუბრეებს აქვთ თემატიკის და ლინგვისტური ფორმების არჩევანის თავისუფლება. აქედან გამომდინარე, თარგმანის გამოყენება უადგილოა. მხედველობაში გვაქვს გრამატიკულ სავარჯიშოებში მოცემული, რეალობასა და კონტექსტს მოკლებული, ცალკეული წინადადებების ან მხატვრული ტექსტების თარგმნა. ამ შემთხვევაში, თარგმანი არც ახალ ინფორმაციას აწვდის და არც არჩევანის შესაძლებლობას იძლევა.

თუმცა თარგმანი შეიძლება ემსახურებოდეს კომუნიკაციურ მიზანს, თუკი გადასცემს გზავნილს მას, ვინც ამას საჭიროებს. თარგმანი შეიძლება გახდეს კომუნიკაციის საშუალება.

ქვემოთ გთავაზობთ აქტივობებს, სადაც ნაჩვენებია თარგმანის კომუნიკაციურად გამოყენება. თარგმანის ამ მეთოდის გამოყენებისას მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლეებს თვალნათლივ აჩვენოს ზოგიერთი შეცდომის წყარო, როცა სიტყვასიტყვით თარგმნიან მშობლიური ენიდან. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოწაფეებს მშობლიური ენის ინტერფერენციის დაძლევაში.

აქტივობა 1. სატელეფონო ზარი

დონე: საშუალოზე დაბალი და საშუალო

დრო: 30 წუთი

ენობრივი ფოკუსი: ყოველდღიური ფრაზები

მსვლელობა:

ეტაპი 1. მოწაფეები სხედან და ინდივიდუალურად იხსენებენ სატელეფონო საუბარს მშობლიურ ენაზე;

ეტაპი 2. ყველა თარგმნის თავის საუბარს ინგლისურ ენაზე. თარგმანი ორიგინალთან რაც შეიძლება მიახლოებული უნდა იყოს. მოწაფეებმა ტექსტში ხაზი უნდა გაუსვან ნებისმიერ პრობლემას, რომელსაც გარკვეული სიტყვებისა თუ ფრაზების თარგმნისას წააწყდნენ;

ეტაპი 3. მოწაფეები მუშაობენ წყვილებში და ცდილობენ გააუმჯობესონ თავიანთი ინგლისური ვერსიის სისწორე;

ეტაპი 4. შესწორებული საბოლოო ვერსიები გამოფენილია ყველასთვის გასაცნობად. მოწაფეებს ევალებათ, წაიკითხონ და შეაფასონ საუბრები მოცემული კრიტერიუმის საფუძველზე (კრიტერიუმების შემუშავება თავად შეუძლიათ), მაგალითად, „ყველაზე ოფიციალური“ ან „ყველაზე არაოფიციალური“.

აქტივობა 2. გაფუჭებული ტელეფონი (ჩინური ჩურჩული)

დონე: საშუალოზე დაბალი და ზემოთ

დრო: 30 წუთი

ენობრივი ფოკუსი: წინადადების სტრუქტურა

ეტაპი 1. მოწაფეები სხედან დიდ წრეში ან ისე, რომ შესაძლებელია ფურცლების გადაწოდება;

ეტაპი 2. თითოეული მოწაფე იღებს სუფთა ფურცელს და ფურცლის თავში წერს 15 სიტყვისგან შემდგარ წინადადებას მშობლიურ ენაზე;

ეტაპი 3. მოწაფეები გადააწოდებენ თავიანთ ფურცელს მარცხნივ მჯდომ თანაკლასელს;

ეტაპი 4. ისინი თარგმნიან მეზობლისგან მიღებულ წინადადებას ინგლისურად და წერენ ფურცლის ბოლოში. მასწავლებელი მათ საჭიროებისამებრ ეხმარება;

ეტაპი 5. ფურცლებს ისე გადაკეცავენ, რომ მხოლოდ ინგლისური თარგმანი ჩანდეს;

ეტაპი 6. მოწაფეები კვლავ გადააწოდებენ ფურცელს მარცხნივ მჯდომ კლასელს და ამჯერად ინგლისურ წინადადებას თარგმნიან ქართულ ენაზე;

ეტაპი 7. ამჯერად ფურცელს იმგვარად გადაკეცავენ, რომ მხოლოდ ქართულ ენაზე ნათარგმნი წინადადება გამოჩნდეს

პედაგოგთა დასახმარებლად

და გადააწოდებენ მარცხნივ მჯდომს;

ეტაპი 8. თარგმნის პროცედურა მეორდება, ვიდრე თითოეულ ენაზე 5 ან 6 ვარიანტი არ შეიქმნება;

ეტაპი 9. კვლავ გადააწოდებენ ფურცლებს მარცხნივ და ამჯერად ხსნიან ფურცელს;

ეტაპი 10. მონაფეები წყვილდებიან, კითხულობენ ორიგინალ წინადადებას და ბოლო ნათარგმნ ვერსიას. ამის შემდეგ მიჰყვებიან თარგმნის ეტაპებს და განსაზღვრავენ, თუ სად არის პრობლემა და განსხვავება ორიგინალსა და თარგმანს შორის, შეეცდებიან ახსნან შეცდომის გამომწვევი მიზეზი. ხმამაღლა კითხულობენ თარგმანის იმ ვერსიებს, რომლებსაც საინტერესოდ მიიჩნევენ.

ალტერნატივა 1.

ეტაპი11. მონაფეები ამოიკითხავენ ბოლო თარგმანს. ავტორმა უნდა შეძლოს მისი ამოცნობა.

ალტერნატივა 2.

დაწყებით ეტაპზე მონაფეებს შეიძლება ვუთხრათ, გადახედონ საკუთარ ჩანაწერებს რვეულში ან სახელმძღვანელოს და ამოირჩიონ წინადადებები (მასწავლებელმა თვალყური უნდა ადევნოს, რომ წინადადება სწორი და გამართული იყოს). ამის შემდეგ გააგრძელეთ პროცედურა მე-5 ეტაპიდან.

კომენტარი. ეს აქტივობა კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ მონაფეებმა გააანალიზონ წინადადების სტრუქტურასთან და სიტყვების ამორჩევასთან დაკავშირებული პრობლემები. იგი ასევე ხელს უწობს სწავლებას იმ მხრივ, რომ მონაფეები ერთმანეთს უსვამენ შეკითხვას თარგმანთან დაკავშირებით.

აქტივობა 3. ჩემი საყვარელი რიცხვები და თარიღები

დონე: ელემენტარული

დრო:15-30 წუთი

ენობრივი ფოკუსი: რიცხვები და თარიღები, მარტივი ახლანდელი და წარსული დრო

მსვლელობა:

ეტაპი 1. მონაფეები წერენ 10 მნიშვნელოვან რიცხვს ან თარიღს ცალკე ფურცელზე. ეს რიცხვები და თარიღები შეიძლება იყოს პიროვნული, ისტორიული ან სოციალური მნიშვნელობის მქონე;

ეტაპი 2. მასწავლებელი აგროვებს ფურცლებს, შემთხვევითობის პრინციპით იღებს და კითხულობს რამდენიმე რიცხვს ან თარიღს. მონაფეები, რომელთაც დაწერეს ეს რიცხვები ან თარიღები, იწევენ ხელს;

ეტაპი 3. მასწავლებელი ფურცლებს ხელახლა არიგებს და რწმუნდება, რომ არც ერთ მათგანს არ აქვს თავისი დაწერილი რიცხვები;

ეტაპი 4. მონაფეები დადიან საკლასო ოთახში და ცდილობენ იპოვონ ავტორი ისე, რომ არ აჩვენებენ ფურცელს;

ეტაპი 5. როცა იპოვიან ავტორს, უბრუნებენ მის ნაწერს. ეს ეტაპი იქამდე გრძელდება ვიდრე ყველა არ მიიღებს საკუთარ ფურცელს;

ეტაპი 6. მონაფეები ქმნიან 3 ან 4 კაცისგან შემდგარ მცირე ჯგუფებს და ერთმანეთს უყვებიან, თუ რატომ არის ეს თარიღები და რიცხვები მათთვის მნიშვნელოვანი. საუბარი, უმეტესად, მშობლიურ ენაზე მიმდინარეობს. ჯგუფი ეხმარება თითოეულ მონაფეს მშობლიური ენიდან ინგლისურ ენაზე თარგმნაში და წერს წინადადებას თითოეული რიცხვის ან თარიღის გვერდით;

ეტაპი 7. მასწავლებელი აგროვებს ფურცლებს და მათზე წერს საიდენტიფიკაციო ასოებს A-დან P-მდე ;

ეტაპი 8. მასწავლებელი ფურცლებს კედლებზე ამაგრებს. მონაფეები კითხულობენ ინფორმაციას და ჩაინიშნავენ, თუ ვინ არის ავტორი;

ეტაპი 9. მასწავლებელი ეკითხება კლასს – ვინ არის ფურცლის ავტორი. ავტორი უპასუხებს და ამის შემდეგ, მონაფეები ამოწმებენ, რამდენად სწორად გამოიცნეს ნამდვილი ავტორი.

აქტივობა 4. ჩემი მოთხრობაა?

დონე: საშუალოზე დაბალი და ზემოთ

დრო: 45-60 წუთი

ენობრივი ფოკუსი: ძირითადი შინაარსის გადმოცემა

მსვლელობა:

ეტაპი 1. მონაფეები იხსენებენ რაიმე საინტერესო ისტორიას, რაც მათ ან მათი ოჯახის წევრს გადახდა თავს. აღწერენ ამ მოვლენას წერილობით, მშობლიურ ენაზე კონკრეტული სიტყვების ფარგლებში (მაგალითად, 80 სიტყვა). მოთხრობები საინტერესო და დრამატული უნდა იყოს;

ეტაპი 2. მასწავლებელი აგროვებს ნაწერებს და ხელახლა ურიგებს ტექსტებს არეულად. აძლევს მათ ინსტრუქციას, კარგად წაიკითხონ და დაიმახსოვრონ მოთხრობა 5 წუთში;

ეტაპი 3. შემდეგი მოთხოვნაა, წაკითხული მოთხრობის ინგლისურ ენაზე დაწერა, სტილის და ხასიათის მაქსიმალური დაცვით;

ეტაპი 4. მასწავლებელი გამოფენს თარგმანებს კედლებზე. კითხულობენ და ცდილობენ ამოიცნონ თავიანთი მოთხრობა, რომელიც მშობლიურ ენაზე დაწერეს;

ეტაპი 5. მასწავლებელი არიგებს მშობლიურ ენაზე დაწერილ მოთხრობებს, მაგრამ არეულად, მონაფეები ცდილობენ, ის თარგმანს მიუსადაგონ;

ეტაპი 6. მთარგმნელები იღებენ ორივე ვერსიას და ხაზს უსვამენ ორიგინალში იმ ფრაზებს და სიტყვებს, რომელთა თარგმნა ვერ შეძლეს.

აქტივობა 5. სახლი ხდება ინგლისი

დონე: საშუალოზე დაბალი და ზემოთ

დრო: 30-45 წუთი

ენობრივი ფოკუსი: ნიშნების და აბრების ენა

ეტაპი 1. მონაფეები ხუჭავენ თვალებს და ცდილობენ გაიხსენონ ხუთიდან ათამდე აბრა, საგზაო ნიშანი ან განცხადება, რომლებსაც ისინი ყოველდღიურად ხვდებიან სახლიდან სკოლისკენ მიმავალ გზაზე ან ხედავენ ავტობუსის ფანჯრიდან. ეს ნიშნები უნდა შეიცავდეს სიტყვებს და არა მხოლოდ ადგილის სახელწოდებებს. მასწავლებელმა ეს ეტაპი შეიძლება, წინა გაკვეთილზე, დავალებად მისცეს მონაფეებს;

ეტაპი 2. მონაფეები ცალ-ცალკე ფურცლებზე წერენ საგზაო ნიშნებზე გამოხატულ ტექსტებს მშობლიურ ენაზე;

ეტაპი 3. მასწავლებელი გაშლის მათ მაგიდაზე ან იატაკზე. მონაფეები იღებენ იმ ტექსტს, რომლის თარგმნაც შეუძლიათ, წერენ ინგლისურ თარგმანს ფურცლის მეორე მხარეზე და აწყობენ ფურცლებს ცალკე დასტად;

ეტაპი 4. ამასობაში მასწავლებელი ხატავს ქალაქის გეგმას დაფაზე ან დიდი ზომის პლაკატზე;

ეტაპი 5. მონაფეები იღებენ გადათარგმნილ ნიშანს და რუკაზე მის შესაბამის ადგილს ხატავენ, მაგალითად, თუ აქვთ ნიშანი ტექსტით: Keep off the grass, ხატავენ პარკს ან გაზონს და ა.შ.;

ეტაპი 6. ინგლისურ ვერსიებს მიაკრავენ გეგმას და წარწერის მიხედვით ცდილობენ, დაადგინონ ადგილი. თუკი ეჭვი ეპარებათ, შეუძლიათ ნახონ მეორე გვერდზე მოცემული ვერსია მშობლიურ ენაზე.

კომენტარი. ერთ-ერთი სარგებელი, რისი მოტანაც ამ აქტივობას შეუძლია, არის ის, რომ მონაფეები იძენენ მათ გარშემო არსებული სამყაროს შესახებ ინფორმაციის ინგლისურად თარგმნის ჩვევებს. აგრეთვე, ქუჩაში საგზაო ნიშნების დანახვისას შეიძლება კლასში გაკეთებული თარგმანები გაახსენდეთ.

აქტივობა 6. იცით ეს სიმღერა?

დონე: საშუალო

დრო: 30 წუთი

ენობირივ ფოკუსი: შეჯამება

მსვლელობა:

ეტაპი 1. მონაფეები წყვილდებიან და იხსენებენ სიმღერას, რომელიც კარგად იციან მშობლიურ ენაზე. მასწავლებელს შეუძლია შეზღუდოს მათი არჩევანი თემატიკის დასახელებით, მაგალითად, პოპ-სიმღერა, სამშობლოსთან დაკავშირებული და ა.შ.;

ეტაპი 2. წყვილები არ აცხადებენ, რომელი სიმღერა აირჩიეს. ისინი წერენ სიმღერის მოკლე შინაარსს, ხუთიდან ათ სიტყვამდე, ინგლისურად;

ეტაპი 3. თითოეული წყვილი რიგრიგობით წარდგება კლასის წინაშე და კითხულობს მოკლე შინაარსს. სხვა წყვილები უნდა მიხვდნენ და ცალკე ფურცელზე დაწერონ სიმღერის სათაური მშობლიურ ენაზე;

ეტაპი 4. წყვილები ყოველ სწორ პასუხში თითო ქულას იღებენ.

ალტერნატივა

წყვილში მომუშავე მონაფეები დადიან, კითხულობენ შერჩეული სიმღერის თარგმანს და სხვა წყვილმა უნდა გამოიცნოს სათაური.

კომენტარი. სასურველია, მასწავლებელმა მონაფეებს არ გაუმხილოს აქტივობის შეჯიბრების ხასიათის შესახებ მოკლე შეჯამების დაწერის წინ, რადგან მათ შეიძლება განზრახ გაართულონ ან ბუნდოვანი გახადონ მოკლე შინაარსი.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ თარგმანი შეიძლება ადამიანებს შორის კომუნიკაციის გაადვილების საშუალება იყოს. მის გარეშე კომუნიკაცია შეუძლებელი იქნებოდა მათთვის, ვინც ენა არ იცის ან არასაკმარისად კარგად იცის. ხშირად თარგმანს აკრიტიკებენ, რადგან ის არ არის კომუნიკაციური სავარჯიშო, სადაც ადგილი არ აქვს საკუთარი აზრის და გრძნობების გამოხატვას. ეს აზრი შეიძლება მართალი იყოს, მაგრამ მაინც ნაწილობრივ. უდავოა, თარგმნისას სხვის აზრს და გრძნობას გადავცემთ, მაგრამ ის მაინც საკუთარი აზრით და გრძნობითაა შეფერილი. ყოველდღიურ სიტუაციებში თარგმნის დროს მთავარია შევასრულოთ კომუნიკაციური ფუნქცია, ანუ შევძლოთ განზრახული გზავნილის გადაცემა მესამე პირისთვის.

ზემოთ შემოთავაზებული აქტივობები არწმუნებს მოსწავლეებს, რომ სიტყვასიტყვითი თარგმანი არ არის მიზანშეწონილი, რადგან იგი შეიძლება გაუგებრობის მიზეზი გახდეს და აჩვევს მათ უცხო ენაზე აზრის ადეკვატურად, კომუნიკაციური მიზნის შესაბამისად თარგმნას. ამავე დროს, ეს აქტივობები სახალისოა და განსხვავდება ტრადიციული თარგმნითი სავარჯიშოებისგან.

მშობელთა კრება

მკურნალი ვაშლი

ვაშლი ყველაზე პოპულარული ხილია. ის ჩვილი ასაკიდანვე შედის ბავშვის მენიუში. ვაშლი ერთნაირად სასარგებლოა ყველა ასაკში, როგორც ჯანმრთელი, ისე ავადმყოფი ორგანიზმისთვის. ვაშლის სასარგებლო თვისებებზე პედიატრი ***ქეთევან ჭანიშვილი*** *გვესაუბრება.*

ვაშლის უამრავი ჯიში არსებობს. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება ფერით, არომატით, ზომით. სრულ დამწიფებამდე ყველა ვაშლი მწვანეა – ეს ქლოროფილის დამსახურებაა, ხოლო დამწიფებისას ფერს იცვლის: კაროტინის წყალობით მოყვითალო ხდება, ხოლო ანტოციანების წყალობით – წითელი.

ხალხში ყველაზე პოპულარული ჯიშებია გოლდენი, ცარსკი, ანტონოვკა, ივერია, სტარტი, თუმცა ბოლო ხანს შემოვიდა ახალი ჯიშებიც, რომლებიც ასევე ძალიან მოსწონთ. მაგალითად აიდარიდი, რომელსაც მოტკბომომჟავო გემო აქვს. ბავშვებისთვის საუკეთესოდ მიიჩნევა ანტონოვკის ჯიშის ვაშლი. მას აქვს სასიამოვნო არომატი და ნაზი მომჟავომოტკბო გემო. ორგანული მჟავა მასში უფრო მეტია, ვიდრე წითელ ვაშლში. ეს მჟავები ასუფთავებს სისხლძარღვის კედლებს და აუმჯობესებს გულის მდგომარეობას, ამასთან, აქვს შარდმდენი ეფექტიც და, რაც მთავარია, ერთნაირად მისაღებია ბავშვებისთვისაც და უფროსებისთვისაც. კარგია ბანანიც.

– როგორ ჯობს ვაშლის მიცემა – უმად თუ ჩაშუშული სახით?

– ბავშვი რაც შეიძლება ადრეული ასაკიდან შეაჩვიეთ ვაშლის გემოს. თავდაპირველად შეურჩიეთ ნაზი, რბილი, მოტკბო, წვნიანი, არომატული ჯიშის ვაშლი. მასში ბევრია სასარგებლო შაქრები, კალიუმისა და რკინის მარილები, რომელიც ხელს უწყობს სისხლის წარმოქმნას და გულის მუშაობას. C ვიტამინი ვაშლში ცოტაა. სამაგიეროდ, ეს ხილი განთქმულია პექტინით. მცენარეული საკვებიდან ყველაზე მეტს სწორედ ვაშლი შეიცავს. პექტინი უჯრედის კედლის მშენებლობაში მონაწილეობს. გარდა ამისა, უხდება საჭმლის მონელებას. ამიტომაცაა ერთადერთი ხილი, რომლის მიღებაც ნებადართულია ნაწლავური ინფექციების დროს. მოთუთქული ვაშლი შესანიშნავი სამკურნალო საშუალებაა. მისი მიღება შეიძლება ნაწლავთა ყოველგვარი დაავადების, ასევე – ქრონიკული პანკრეატიტის, ქოლეცისტიტის, ჰეპატიტის დროს. მოთუთქული ვაშლისგან სხვადასხვა დესერტის მომზადებაა შესაძლებელი. მას შეიძლება დავუმატოთ ქიშმიში, ბანანი (რომელიც ასევე ძალიან უხდება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებს), ხაჭო და სხვა ნატურალური პროდუქტები.

გთავაზობთ რამდენიმე მარტივ რეცეპტს:

ვაშლის სიურპრიზი

საჭიროა:

– 6 ცალი საშუალო ზომის ვაშლი;

– 6 ჩაის კოვზი თაფლი;

– 5-6 სუფრის კოვზი შავი მოცხარის ან ალუბლის მურაბა;

– 2 სუფრის კოვზი გატარებული თხილი.

გარეცხილი ვაშლი კანიანად გაჭერით ორად, ამოაცალეთ გული, ჩააწყვეთ ჭურჭელში, ღრმული ამოავსეთ თაფლითა და თხილით. ზემოდან მოასხით მურაბა და 15 წუთით შედგით ღუმელში.

ვაშლის სალათა

საჭიროა:

– 2 საშუალო ზომის მჟავე ვაშლი;

– 1 საშუალო ზომის სტაფილო;

– 1 კონა მწვანე სალათა;

– 1 ცალი კიტრი;

– 1 ცალი ლიმონი;

– 2 სადილის კოვზი ზეთი;

– მწვანე ხახვი, ოხრახუში, კამა.

მსხვილად გახეხეთ ვაშლი და სტაფილო, კუბიკებად დაჭერით კიტრი, ხელით დააქუცმაცეთ სალათის ფურცლები, წვრილად დაკეპეთ მწვანილი, აურიეთ ერთმანეთში ხის კოვზით, გემოვნებისამებრ დაუმატეთ მარილი, მცენარეული ზეთი და მოასხით ლიმონის წვენი. მიირთვით წელიწადის ნებისმიერ დროს, განსაკუთრებით კი ზამთარში. ვიტამინებით მდიდარი ეს სალათა ზამთრის მენიუს გაგიფერადებთ.

თინათინ ძორიძე

mkurnali. ge

სასკოლო აქტივობა

15 წლის გადასახედიდან ჩვენ ვსწავლობთ, ჩვენ ვიმარჯვებთ

თბილისის მე-2 საჯარო სკოლაში (დირექტორი – **გალაქტიონ მინდიაშვილი**, მოადგილე – **თეონა არველაძე**) შესვლისთანავე იგრძნობა, რომ მოსწავლესაც ეხალისება აქ მოსვლა და მასწავლებელსაც; დიდი გამოცდილების მქონე პედაგოგიური კოლექტივი სიახლეთა ძიების გზით ახერხებს ასეთი ატმოსფეროს შექმნას. ეს, უპირველეს ყოვლისა, შესაძლებელს ხდის მოსწავლეთათვის ხარისხიანი განათლების მიღებას. თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, სკოლაში, მრავალი ღონისძიება ტარდება, ამჯერად ერთზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას.

იმ დღეს ხალხმრავალი შეკრების მიზანი იყო მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **დავით უკლებას** სახელობის გეოგრაფიის კაბინეტის დაარსების 15 წლისთავი და 59-ე რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე გამარჯვებულ მოსწავლეებთან შეხვედრა.

შეხვედრა გახსნა სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელმა, პროფესორ დავით უკლებას მოსწავლემ, რაფიელ დანიბეგაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატმა, გეოგრაფიის დოქტორმა **ნუგზარ არჩვაძემ**. იგი მიესალმა ღონისძიების მონაწილეებს და დამსწრე საზოგადოებას, წარუდგინა საპატიო სტუმრები: პროფესორ დავით უკლებას შვილები: **მაია უკლება** – გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი; **მანანა უკლება** – გამომცემლობის დარგში დამსახურებული მუშაკი; **ელენე სალუქვაძე** – პროფესორ დავით უკლებას მოსწავლე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, გეოგრაფიის დოქტორი; **ეკა ელიზბარაშვილი** – მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ისტორიისა და ეთნოგრაფიის კაბინეტის პედაგოგ-ორგანიზატორი; **კობა ხარაძე** – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ფიზიკური გეორაფიის განყოფილების ხელმძღვანელი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი; **ნათია კაციაშვილი** – სკოლის აღზრდილი, სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებში მრავალჯერ გამარჯვებული, ამჟამად მანდატური.

ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ მოსწავლეთა მშობლები: **ნატო კვერნაძე**, **ქეთევან ჯიმშელეიშვილი**, **ეკა ჩიტაია**, **ელისო ფიცხელაური**, **ხათუნა ჩაჩხიანი**, **მარინე ქვათაძე**, **რუსუდან დაიაური**, **მანანა ლატარია**, **ნათელა დოლიძე**, **ნათელა ნატმელაძე** და სხვ.

სასიამოვნოა, რომ იმდღევანდელი სტუმრები ყოველ წელს მონაწილეობენ დასკვნით ღონისძიებებში, რომელიც სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებსა და ოლიმპიადებზე გამარჯვებულ მოსწავლეებთან შეხვედრას ეძღვნება.

ღონისძიების დაწყებამდე ბატონმა ნუგზარმა აღნიშნა, რომ სკოლის მოსწავლეები, სასკოლო სახელმძღვანელოსთან ერთად, ცოდნას იმდიდრებენ დამხმარე ლიტერატურით. ისინი იცნობენ მეცნიერების – ლევან მარუაშვილის, ზურაბ ტატაშიძის, ნიკო კეცხოველის, კობა ხარაძის, მაია უკლებას, ელენე სალუქვაძის და სხვათა ნაშრომებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პროფესორ დავით უკლებას შრომებზე. მომხსენებელმა ბევრი საინტერესო ისტორია გაიხსენა მეცნიერზე, რომელმაც მთელი თავისი ცოდნა და ენერგია ქვეყნის სამსახურს შეალია. ორ ათეულზე მეტმა მაძიებელმა და ასპირანტმა, მისი უშუალო ხელმძღვანელობით, წარმატებით დაიცვა დისერტაცია. ბატონი დავითი არა ერთხელ ყოფილა, თავის აღსაზრდელებთან ერთად, ექსპედიციებში და უშურველად უზიარებდა მათ ცოდნასა და გამოცდილებას. მოსწავლეებმა, სტუმრებმა დიდი სითბოთი და სიყვარულით ისაუბრეს პროფესორ დავით უკლებაზე, მის მეცნიერულ მემკვიდრეობაზე.

ბატონმა ნუგზარმა დამსწრეთ მოსწავლეთა 69-ე სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციის გეოგრაფია-გეოლოგიის სექციაში გამარჯვებულები გააცნო.

I ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ: **გიორგი მინდიაშვილი** – XII კლასის მოსწავლე; **მანანა ალუდაური** – XI კლასის მოსწავლე.

II ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ:**ლევან ზოზირაშვილი** – XII კლასის მოსწავლე; **მერი შელია**, **ანასტასია ახნაზაროვა** – XI კლასის მოსწავლეები; **მარიამ ჯაჭვლიანი**, **საბა ჩირგაძე**, **ნინო გოგია**, **ქეთევან ქაჯაია** – X კლასის მოსწავლეები; **რუსუდან ქაჯაია** – VIII კლასის მოსწავლე.

გამარჯვებულმა მოსწავლეებმა მსმენელებს უამბეს საკონფერენციო თემების ძირითადი შინაარსისა და მუშაობის პროცესში გამოყენებული მეთოდიკის შესახებ. ღონისძიებას განსაკუთრებული ხიბლი შესძინა მუსიკალურმა ნომრებმა (მუსიკის მასწავლებელი – **ლალი მიქელაძე**), რომელთაც **ნიკა ღონღაძე**, **გიგა ბერიძე**, **ირაკლი წერეთელი**, **ანანო დევაძე** და სხვები ასრულებდნენ.

ტრადიციულად, გამარჯვებულ მოსწავლეებს დიპლომები და სიგელები გადასცა პროფესორმა კობა ხარაძემ. ხოლო ეკა ელიზბარაშვილმა, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სახელით, მადლობის ფურცელი გადასცა სკოლის დირექტორს, გალაქტიონ მინდიაშვილს, ხოლო გეოგრაფიის მასწავლებელს, ნუგზარ არჩვაძეს – სიგელი წლების განმავლობაში მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებში გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისთვის.

ქალბატონმა მაია უკლებამ მომავალშიც წარმატებები უსურვა მოსწავლეებს და იმ ურთიერთპატივისცემის ნიშნად, რომელიც წლების განმავლობაში არსებობდა პროფესორ დავით უკლებასა და ნუგზარ არჩვაძეს შორის, საჩუქრად ნოუთბუკი გადასა.

პროფესორმა კობა ხარაძემ დადებითად შეაფასა ღონისძიება და აღნიშნა, რომ ბატონი ნუგზარი სტატიით „წყალტუბოს კირქვული მასივის ფენომენი“ მონაწილეობას მიიღებს კონფერენციაში „გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები“, რომელიც ეძღვნება გამოჩენილი ქართველი გეოგრაფისა და ანთროპოლოგის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ალექსანდრე ჯავახიშვილის დაბადების 140 წლისთავს.

ამავე კონფერენციაზე XI კლასის მოსწავლემ, **მანანა ალუდაურმა** წარადგინა სტატია „მდ. ბეთანიის წყლის აუზის ლანდშაფტური დახასიათება“, რომელიც გამოიცემა კრებულის სახით.

დადებითად შეაფასეს აღნიშნული ღონისძიება გეოგრაფიის დოქტორმა ელენე სალუქვაძემ, მანანა უკლებამ, ეკა ელიზბარაშვილმა, მასწავლებლებმა, მშობლებმა. სკოლის მანდატურმა ნათია კაციაშვილმა სიტყვით მიმართა სტუმრებს: *„ბედნიერი ვარ, რომ ბატონი ნუგზარი ჩემი გეოგრაფიის პედაგოგი იყო. ცოდნა-განათლებასთან ერთად მან უსაზღვრო სიყვარული გვაჩუქა არა ერთ თაობას. აქ, ამ კაბინეტში, მუდამ შემოქმედებითი ფუსფუსი და კეთილგანწყობა სუფევდა. მისი ხელმძღვანელობით არაერთი საინტერესო და გამორჩეული ნაშრომი შექმნილა, რომელსაც საუკეთესო შეფასება მიუღია.*

მიხარია, რომ შემოქმედი პედაგოგი კვლავაც ჩვეული ენთუზიაზმით მუშაობს. დიდხანს სიცოცხლეს და ბევრი თაობის აღზრდას ვუსურვებ ჩვენს საყვარელ ნუგზარ მასწავლებელს“.

ღონისძიების დასასრულს, სკოლის დირექტორმა, გალაქტიონ მინდიაშვილმა მადლობა გადაუხადა ღონისძიების მესვეურთ, მოწვეულ სტუმრებს და სკოლის ნორჩ გეოგრაფთა წრის წევრებს მომავალში წარმატება უსურვა.

სოლომონ მელაძე
გეოგრაფი, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი

ინფორმაცია

„აფხაზეთობა“ აღინიშნა

ეთნოგრაფიულ მუზეუმში სახალხო დღესასწაული „აფხაზეთობა“ საზეიმოდ გაიხსნა. ღონისძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსი, აფხაზეთიდან დევნილი ინტელიგენცია და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

სტუმრებმა აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი ფოტომასალის, აფხაზეთის მხატვართა ნამუშევრების, ბავშვთა ნახატებისა და ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა დაათვალიერეს. ასევე, აფხაზეთის სახელოვნებო სკოლებისა და სასწავლებლების მოსწავლეთა კონცერტს დაესწრნენ, სადაც ქართულ-აფხაზური ცეკვები და სიმღერები შესრულდა.

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის ინიციატივითა და ლოცვა-კურთხევით, 23 მაისი „აფხაზეთობის“ დღედ დაწესდა.

პროფესიული საბჭოს საინფორმაციო სემინარი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებითა და ევროკავშირის პროექტის „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარება“ მხარდაჭერით, პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს საინფორმაციო სემინარი გაიმართა. სემინარს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების პირველი მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი** დაესწრო.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა, პროფესიული განათლების პოლიტიკის შემუშავება-დანერგვის პროცესში, პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობა. საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში გამართულ საინფორმაციო სემინარზე ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ექსპერტებმა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა დამსწრე საზოგადოებას გაუზიარეს საერთაშორისო გამოცდილება ეროვნული პროფესიული საბჭოების წარმატებული ფუნქციონირების, შრომის ბაზრის პოლიტიკის ფორმირების, საქართველოს პროფესიული განათლების არსებული მდგომარეობის, ეროვნული პროფესიული საბჭოს სამუშაო გეგმისა და თემატური სამუშაო ჯგუფების შესახებ.

საინფორმაციო სემინარს, ასევე, დაესწრნენ პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრები, ევროკავშირის პროექტის „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარება“ საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააგენტოების წარმომადგენლები.

ქართული როგორც მეორე ენა

მოთხრობითი ბრუნვის ფორმის სწავლების ასპექტები სომხურენოვან სკოლებში

დოდო (ზამირა) კობიაშვილი
წალკის მუნიციპალიტეტის სოფ. ოზნის საჯარო სკოლის კონსულტანტი მასწავლებელი

ქართულის, როგორც მეორე ენის პრაქტიკოსი მასწავლებლები დამეთანხმებიან, რომ, ზოგადად, არაქართველი მოსწავლეების მიერ ქართული ენის ათვისება უფრო შედეგიანია დაწყებით კლასებში, ვიდრე უფროსკლასელებში, რასაც ბევრი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის – მეტი მოტივაცია და პასუხისმგებლობა უმცროსი ასაკის მოსწავლეებში და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, სმენითი და მხედველობითი მეხსიერების აქტიური განვითარება ამ ასაკში. არაქართულენოვანი, კერძოდ სომხურენოვანი, მოსწავლეებისთვის ერთ-ერთ რთულად დასაძლევ პრობლემას წარმოადგენს მოთხრობითი ბრუნვის ფორმის შეწყობა ზმნასთან და მისი სწორი გამოყენება ზეპირ მეტყველებაში. ამ ფორმის სწავლებისა და გაგების სირთულეს რამდენიმე მიზეზი აქვს: ერთი ის, რომ მოთხრობითი ბრუნვა მხოლოდ იბერიულ ენებშია და ამ ფორმის აღქმა უჭირთ. მეორე, სომხურში, ქართულისგან განსხვავებით, სუბიექტიც და ობიექტიც ერთი და იმავე ფორმით ეწყობა ზმნას ყველა მწკრივში. ამიტომ მოსწავლეები ქართულის სუბიექტ-ობიექტის მიმართებას ზმნასთან მექანიკურად უკავშირებენ მშობლიური ენის ფორმებს – ცვლიან ზმნას, სუბიექტისა და ობიექტის ფორმებს კი – არა. უფრო თვალსაჩინო რომ იყოს, მოვიყვანთ სომხური ზმნის მე-3 პირის ფორმათა უღლების მაგალითს ქართული ტრანსკრიფციით:

აწმყო	არამე კართუმე გირქ (არამი კითხულობს წიგნს)
უწყვეტელი	არამე კართუმერ გირქ (არამი კითხულობდა წიგნს)
მყოფადი	არამე კართალუე გირქ (არამი წაიკითხავს წიგნს)
წყვეტილი	არამე კართაც გირქ (არამმა წაიკითხა წიგნი)
მე-2 კავშირებითი	არამე პიტი კართა გირქ (არამმა უნდა წაიკითხოს წიგნი)

როგორც ვხედავთ, სომხურში სუბიექტისა და ობიექტის ფორმები უცვლელად მიჰყვება ზმნას. ასეა დანარჩენ მწკრივებშიც, თუ არ ჩავთვლით მცირე გამონაკლისებს, ე.წ. უნესო ზმნებს. სომხურის სუბიექტის ბრუნვის ფორმა (უღაკან) შეესატყვისება ქართულის სახელობითს, ობიექტისა (ჰაიცაკან) კი – აზრობრივად უახლოვდება ასევე ქართულის სახელობითი ბრუნვის ფორმას. ამას ემატება ისიც, რომ ქართულ მეტყველებაში ყველაზე ხმარებადი ბრუნვის ფორმა სახელობითია, ამიტომაც სომხურენოვანი მოსწავლეების მეტყველებაში ხშირია ასეთი წინადადებები: ბავშვი წერს წერილი, ბიჭი დაწერა წერილი და ა.შ.

როგორ ვასწავლოთ

როგორც აღვნიშნეთ, ენის ათვისება უფრო შედეგიანია უმცროსკლასელებში, ამიტომაც მოთხრობითი ბრუნვის ფორმის „სწავლება“ აქედან უნდა დავიწყოთ (რა თქმა უნდა, გამოვრიცხავთ გრამატიკული ნორმების ახსნას). ამ ეტაპზე სწავლების მიზანი უნდა იყოს ის, რომ მოსწავლის ყური მიეჩვიოს ქართულ მეტყველებაში მოთხრობითი ბრუნვის ფორმის ჟღერადობას. აქედან გამომდინარე, აქცენტი უნდა გაკეთდეს მოსწავლის სმენით და მხედველობით მეხსიერებაზე. ანბანის სწავლების წინა პერიოდში და შემდეგ, გარკვეული ბგერების სწავლებისას, მოსწავლეებს შევთავაზოთ ისეთი წინადადებები, სადაც გამოყენებული იქნება მოთხრობითი ბრუნვის ფორმები, მაგ. **ს-კ** – საათმა დარეკა, ბებიამ სათვალე გაიკეთა, **ყ-ჩ** ბაყაყმა ისკუპა, ბებომ ჩაი დალია, ნ-წ – ნანამ გაკვეთილი ისწავლა, დათვმა დაიძინა, **ქ-ხ** – ქეთომ ქუდი იყიდა, მაიმუნმა ხეზე დაიძინა, **შ-ტ** – ეთერმა ტორტი გააკეთა, ჩიტმა ხეზე ბუდე გაიკეთა, მზიამ ბუშტი გაბერა, **ფ-ღ** – ღევანმა ფოთოლი დახატა, ძაღლმა დაიყეფა, კატამ გაიღვიძა, **ც-ჭ** – ციყვმა ფუღუროში დაიძინა, დათვმა თაფლი შეჭამა, ჭრიჭინა ჭრიჭინებს, **პ-ჟ** – არჩილმა თოვლის პაპა გააკეთა, ჟუჟუნამ პომიდორი იყიდა, ჟირაფმა ფოთოლი შეჭამა, **ჯ-ჰ** – ჯემალმა ჰამაკი მოიტანა, ჯარჯიმ ჯოხი იპოვა და სხვ. ამგვარად, მოსწავლეებს ყური „გაეხედნებათ“ არა მხოლოდ მოთხრობით, არამედ წყვეტილის ფორმებზეც, რასაც კიდევ უფრო განუმტკიცებთ მასწავლებლის მიერ დასმული კითხვები: რამ ისკუპა? ვინ დალია ჩაი? ვინ ისწავლა გაკვეთილი? რამ შეჭამა ფოთოლი? რამ მოიპარა პური? და ა.შ.

არაქართულენოვანი სკოლების დაწყებითი კლასების ქართული ენის სახელმძღვანელოები „პირველი ნაბიჯები“, აგებულია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ექვსი „პერსონაჟის“ პრინციპით. სახელმძღვანელოს „გმირები“ არიან სამი გოგო და სამი ბიჭი – ია, მზია, ლია, რეზო, დათო და გია. როგორც ვხედავთ, ყველა მათგანის სახელი ხმოვანზე ბოლოვდება. ხმოვანფუძიან სახელთა თავისებურება კი, მოგეხსენებათ, არის ის, რომ მოთხრობითსა და ნათესაობითში (სხვა ბრუნვის ფორმებზე არ ვლაპარაკობთ, რადგან ისინი ნაკლებ აქტიურნი არიან მეტყველებაში) გამარტივებულ ბრუნვის ნიშნებს მოითხოვენ: **მა**-ს ნაცვლად – **მ**-ს და **ის** ნაცვლად – **ს**-ს. მართალია, მოსწავლეები ადვილად უღებენ ალღოს სწორ ფორმებს, მაგრამ მაინც კარგი იქნება, თუ თანხმოვანფუძიანი სახელების მქონე „პერსონაჟებიც“ (თამარი, ლევანი, მარიამი, მერაბი) იქნებიან აღნიშნულ სახელმძღვანელოებში, რადგან თანხმოვანფუძიანებში კარგადაა გარჩეული ბრუნვის ნიშნები.

„პირველ ნაბიჯებში“ უხვადაა მარტივი დიალოგები. ისინი ტექსტის გაგებაზე, ლექსიკაზე, მეტყველების განვითარებასა და ა.შ. არის ორიენტირებული. მაგალითად:

– გია, რა მაქვს ჯიბეში?
– ჯიბეში გაქვს ბურთი.
– არა, ის არის პატარა და გრძელი.
– კალამი.
– სწორია.
(„ქართული ენა 2“, გვ. 8)

ან კიდევ:
– მამიკო, ვინ არის ჩიპოლინო?
– ჩიპოლინო პატარა ხახვის ბიჭუნაა.
– სად ცხოვრობს ეს პატარა ხახვის ბიჭუნა?
– ზღაპრების ქვეყანაში.
– სად არის ეს ზღაპრების ქვეყანა?
– აი, ამ წიგნში.
(„ქართული ენა 2“, გვ. 65)

როგორც ვხედავთ, დიალოგები მხოლოდ კითხვა-პასუხზეა აგებული, არადა დიალოგები ძალიან კარგი საშუალებაა ისეთი მეტყველების ზმნების სასწავლად, როგორიცაა: უთხრა, ჰკითხა, თქვა, უპასუხა. გარდა იმისა, რომ ეს ზმნები მეტყველებაში ხშირად იხმარება, მათი ფორმა მოითხოვს მოთხრობით ბრუნვას. სამწუხაროდ, ეს რესურსი თითქმის არაა გამოყენებული „პირველ ნაბიჯებში“ (თუ არ ჩავთვლით მე-4 დონის სახელმძღვანელოს და მე-3 დონის ერთ-ორ მასალას), ამიტომ მათი სწავლება მასწავლებელმა უნდა იტვირთოს. მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს გავაგებინებთ ამ სიტყვების მნიშვნელობას, ვუთხრათ, რომ ჰკითხა-უთხრა-უპასუხა-თქვასთან ხმარებულ სახელებთან ყოველთვის საჭიროა **მა**, ან **მ**-ს დამატება, მაგალითად, მასწავლებელმა ჰკითხა, ღევანმა უპასუხა და ა.შ. (რა თქმა უნდა, ოთხივე ზმნას ერთბაშად ვერ მივაწვდით მოსწავლეებს). წავაკითხოთ მოსწავლეებს დიალოგები, ვამუშაოთ ლექსიკასა და გაგებაზე, დავუსვათ კითხვები: ვინ ჰკითხა? ვინ უპასუხა? ვინ უთხრა? ვინ თქვა? წავაკითხოთ თავიდან დიალოგები და ვთხოვოთ ფანქრით მიუწერონ ავტორის სიტყვები (ჰკითხა ლიამ, უპასუხა რეზომ და ა.შ.). ეს ფორმები მოსწავლეებს უნდა დავაზეპირებინოთ და სხვადასხვა აქტივობებით განვუმტკიცოთ – კითხვების დასმით, სწორია თუ არა (ღევანი უთხრა?) იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები, ხშირად გავამეორებინოთ, შევადგენინოთ მარტივი დიალოგები აღნიშნული ზმნების გამოყენებით და ა. შ. დაზეპირება სწავლების ერთ-ერთი კარგი საშუალებაა, რადგან ერთხელ დაზეპირებულ ფორმებს მოსწავლეები შემდეგ ცოცხალ მეტყველებაში იყენებენ, მაგალითად, IV-კლასელები ასე მეუბნებოდნენ: ჩვენ წადი სახლში, ჭამე და მერე მოდი. დაფაზე დავწერეთ: ჩვენ წავალთ სახლში, ვჭამთ და მოვალთ. მოსწავლეებმა დაიზეპირეს და შემდეგ უკვე ასე მესაუბრებოდნენ.ერთ დღეს კი ლარისა მეუბნება: ჩვენ ხვალ (შაბათი იყო) არ მოვალთ სკოლაში.

იმის მოლოდინი, რომ ამ გზით დაწყებით კლასებში მოთხრობითი ბრუნვის სწავლების პრობლემას გადავწყვეტთ, არ გვაქვს, მაგრამ ჩვენ შევქმნით კარგ საფუძველს იმ ეტაპისთვის, როცა მოსწავლეებს გააზრებულად შევთავაზებთ სუბიექტის ბრუნვის ფორმის სწავლებას გარდამავალი ზმნების წყვეტილის მწკრივთან. ეს ეტაპი კი შეიძლება მე-7 კლასიდან დავიწყოთ, რადგან ამ დროისთვის მოსწავლეებს ყურიც მიჩვეული აქვთ მოთხრობითი ბრუნვის ფორმებზე, ენაც გატეხილი აქვთ, იციან სახელთა ბრუნება და ზმნის დროისა და მწკრივების რამდენიმე ფორმა.

სწავლებას ვიწყებთ სუბიექტისა და ობიექტის რაობით. შევარჩევთ გარდამავალ ზმნებს, რადგან წყვეტილში სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაშია, თან გარდამავალ ზმნებში კარგად ჩანს სუბიექტის მოქმედება ობიექტზე, განსხვავებით გარდაუვალი ზმნებისგან: მამა აშენებს სახლს (მამა – სუბიექტი, სახლს – ობიექტი), ბავშვი ჭამს ნამცხვარს (ბავშვი – სუბიექტი, ნამცხვარს – ობიექტი) და ა.შ. ახალ ცოდნას რამდენიმე გაკვეთილზე ვამტკიცებთ სხვადასხვა აქტივობებით: დაფაზე ვწერთ წინადადებებს, ვპოულობთ სუბიექტსა და ობიექტს, სწორია, თუ არა, დამოუკიდებელი სამუშაო...

მე-2 ეტაპი უნდა იყოს ზმნის წარსული დროის, წყვეტილის, სწავლება (თუ ნასწავლი აქვთ, გავახსენოთ). ყურადღებას ვამახვილებთ, დამთავრდა თუ არა ზმნით აღნიშნული მოქმედება. ამისათვის დაფაზე ვწერთ წინადადებებს ზმნის ახლანდელი და წარსული დროის ფორმების, უწყვეტელისა და წყვეტილის, გამოყენებით ადარებთ ერთმანეთს: *ღევანი ხატავს ცხენს, ღევანი მთელი დღე ხატავდა ცხენს,* მაგრამ ვერ დაასრულა, *ღევანმა უკვე დახატა ცხენი.* კითხვების საშუალებით ვარკვევთ ზმნის დროებს, აგრეთვე რომელ წინადადებებში ჩანს, რომ არ დამთავრდა მოქმედება – ხატვა, რომელ წინადადებაში ჩანს, რომ ღევანი მორჩა ხატვას. სწორი პასუხების მიღების შემდეგ მოსწავლეებს ვუხსნით (ვახსენებთ): თუ ზმნა გამოხატავს წარსულ დროს და გვიჩვენებს, რომ მოქმედება არ დამთავრდა, ეს არის წარსული დაუმთავრებელი: თუ ზმნა გამოხატავს წარსულ დროს და გვიჩვენებს, რომ მოქმედება დამთავრდა, ეს არის წარსული დამთავრებული. ვამტკიცებთ ახალ ცოდნას. შემდეგ კი ვთხოვთ, თითოეულ წინადადებაში ისევ გაარკვიონ ზმნათა დროები, იპოვონ სუბიექტი და ობიექტი, შემდეგ კარგად დაუკვირდნენ ზმნებს და გვიპასუხონ, როდის არის სუბიექტი სახელობით ბრუნვაში და როდის – მოთხრობითში. თუ კარგი საფუძველი აქვთ, მოსწავლეები აუცილებლად აღმოაჩენენ, რომ სუბიექტი ახლანდელ დროსა და წარსულ დაუმთავრებელში სახელობით ბრუნვაშია, წარსულ დამთავრებულში კი – მოთხრობითში. სწორი პასუხი დავუდასტუროთ სათანადო ახსნა-განმარტებით და ვიმუშაოთ განმტკიცებაზე. გზადაგზა, განმტკიცების პროცესში, მოსწავლეები დაისწავლიან ახლანდელი დროის, წარსული დაუმთავრებელისა და დამთავრებულის გრამატიკულ ტერმინებსაც – აწმყოს, უწყვეტელსა და წყვეტილს. ამ მასალის ცოდნის განმტკიცება უნდა ხდებოდეს ხანგრძლივი დროის მანძილზე, განუწყვეტლად, რადგან, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საუკეთესო მოსწავლეებსაც კი მოსდით შეცდომები.

დამოუკიდებლად მუშაობის პროცესში მოსწავლეები აწყდებიან გარდაუვალ ზმნებს. თავიანთი ცოდნის შესაბამისად გადაყავთ რა ეს ზმნები წყვეტილში, ზმნას სუბიექტს უწყობენ მოთხრობითის ფორმით, მაგრამ ხვდებიან, რომ რაღაც ისე ვერ არის, რომ ზმნასთან შეწყობილი სუბიექტის ფორმა ვერ ჟღერს კარგად და სვამენ კითხვას: გათბა მან? დაწვა მან? იჯდა მან? კითხვა ლოგიკურია, მოსწავლეები აწყდებიან ვნებითი გვარის ზმნებს, რომელთაც სუბიექტი ყოველთვის სახელობითი ბრუნვის ფორმით ეწყობათ. ძალიან მარტივად ვუხსნით მათ, რომ ზმნა აწმყოს მე-3 პირში შეიძლება ბოლოვდებოდეს **ს**-ზე, ან **ა**-ზე. წყვეტილში სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაშია იმ ზმნებთან, რომლებსაც აწმყოს მე-3 პირში აქვთ ბოლოსართი **ს**. თუ ზმნა აწმყოს მე-3 პირში მთავრდება **ა**-თი, მაშინ სუბიექტი აწმყოშიცა და წყვეტილშიც სახელობით ბრუნვაში უნდა იყოს, მაგალითად, კატა თბება – კატა გათბა, ბიჭი ჯდება – ბიჭი დაჯდა, ძაღლი წვება – ძაღლი დაწვა და ა.შ.

არის ზმნათა ერთი ნაწილი, რომლებიც აწმყოს მე-3 პირში ბოლოვდებიან **ს**-ზე, მაგრამ წყვეტილში სუბიექტს სახელობითის ფორმით იწყობენ, ესენი არიან საშუალ-ვნებითი გვარის ზმნები: დგას ის – იდგა ის, წევს ის – იწვა ის, მიდის ის – წავიდა ის, მოვიდა ის – მოვა ის... ამ ტიპის ზმნებთან შეწყობილი სუბიექტის ფორმები მოსწავლეებს უნდა დავაზეპირებინოთ, როგორც გამონაკლისები. ასევე უნდა დავაზეპირებინოთ ვიცი ზნასთან შეწყობილი სუბიექტის ფორმები, რადგან ვიცი ზმნას აწმყოში სუბიექტი მოთხრობოთი ბრუნვის ფორმით ეწყობა (წყვეტილის ფორმას ვერ აწარმოებს), მაგალითად, არჩილმა იცის ხატვა.

ყოველივე, რაც ითქვა ზმნის წყვეტილის ფორმასთან სუბიექტის შეწყობასთან დაკავშირებით, ეხება მე-2 კავშირებითსაც, რადგან მოგეხსენებათ, მოთხრობითი ბრუნვა ზოგადად მეორე სერიის მწკრივებს ახასიათებთ.

გრამატიკული ნორმების დასწავლა სწორი მეტყველებისთვის, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ ასევე აუცილებელია მისი გამყარება ასაკთან შესაბამისი საინტერესო ლიტერატურული მასალით, რადგანაც ლიტერატურა ვირტუალური სამყაროა და მოსწავლეს ენის ბუნებრივ „გარემოსთან“ აახლოებს, რაც ამეტყველების საუკეთესო საშუალებაა.

სომხურ ენაში გაწეული კონსულტაციისთვის მადლობას ვუხდით სოფელ ოზნის საჯარო სკოლის სომხური ენის მასწავლებელს
ლუსინე მანუკიანს

სპორტი

„თბილისი 2015“ – პირველი განაცხადი ოლიმპიურ შეჯიბრებათა მასპინძლობაზე

ზუსტად ორ თვეში საქართველო თავის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსურ საერთაშორისო ღონისძიებას უმასპინძლებს – ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს, რომელიც მეცამეტედ ტარდება, თუმცა ჩვენთვის მეთორმეტეა – უსახსროობის გამო ვერ გამოვედით სულ პირველში, 1991 წელს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ჯერ ამ მასშტაბის კომპლექსური ღონისძიებისთვის არ უმასპინძლია. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, რამდენად ღირსეულად ვუმასპინძლებთ მას, როგორ გამოვლენ ჩვენი სპორტსმენები.

საქართველო, უკვე დიდი ხანია, წარმატებით ემზადება ფესტივალისთვის, რომელსაც დიდი პოლიტიკური ფასი ადევს ქვეყნის ცნობადობის თვალსაზრისით – ერთი კვირის განმავლობაში ის მთელი ევროპის ყურადღების ცენტრში იქნება. თუმცა ისიც ცნობილია, რომ ფესტივალს ევროპის გარეთაც მიადევნებენ თვალს. თამაშებისთვის აშენდა რამდენიმე სპორტული ბაზა, რაც დიდი შენაძენია ქვეყნისთვის – გარდა იმისა, რომ სპორტსმენებს ადგილზე მოსამზადებლად გაცილებით უკეთესი პირობები ექნებათ, აქ შესაძლებელი გახდება წამყვანი საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარება – ასაკობრივებში მაინც, თუ მთლად ეროვნულ ნაკრებთა დონეზე არა. ერთი სიტყვით, ქვეყანა გამართულ ინფრასტრუქტურას მიიღებს, თუმცა არანაკლებ დიდი მონაპოვარია, რომ სპეციალურად ამ თამაშებისთვის მოსამზადებლად საქართველოში აღორძინდა რამდენიმე ისეთი სახეობა, რომლებსაც თითქოს გამოცოცხლების შანსი არ უჩანდათ.

ამიერიდან ჩვენი ქვეყანა ჰატარა, მაგრამ მაინც ოლიმპიადის ჩამტარებელი ქვეყნების რიცხვში შევა. 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღეს, ათენიდან საქართველოში ოლიმპიური ცეცხლიც ჩამოიტანეს, რომელიც მთელ ქვეყანას მოივლის. აღსანიშნავია, რომ საქრთველო 35-ე ქვეყანაა, სადაც ოლიმპიური ცეცხლი ჩასულა. ფესტივალი 26 მაისს საზეიმოდ გაიხსნება მიხეილ მესხის სტადიონზე, დახურვის ცერემონიალი კი 2 აგვისტოს გაიმართება თბილისის ზღვაზე ახალაშენებულ ოლიმპიურ სოფელში. უკვე დაწერილია სცენარი გახსნა-დახურვის ცერემონიალისთვის, რასაც ცნობილი ბრიტანელი რეჟისორი, ბრიტანეთის სამეფო კარის ქორწილ-მიღებებით დაწყებული და ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატების გახსნის საზეიმო ღონისძიებების ავტორობით დამთავრებული სცენების ავტორი, არაერთი ცნობილი შოუს დამდგმელი დევიდ ზოლკვერი ხელმძღვანელობს. ფესტივალს ძალიან ლამაზი ემბლემა ეყოლება – ხოხობი პიკი.

ამ თამაშების მზადებასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს, **ალექსი ახვლედიანს**.

– რა მნიშვნელობა აქვს ფესტივალს საქართველოსთვის?

– საორგანიზაციო კომიტეტი ყველაფერს აკეთებს, რათა „თბილისი-2015“ ევროპულ ოჯახში შევიდეს, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ფესტივალი. თავის მხრივ, ეს მომავალში ნებისმიერ ფედერაციას, მთლიანად ქვეყანას საშუალებას მისცემს, განაცხადი გააკეთოს უმაღლესი დონის შეჯიბრებათა მასპინძლობაზე, უკვე აღარ იარსებებს კითხვის ნიშანი იმაზე, შევძლებთ თუ არა ღირსეულად მასპინძლობას. ბევრჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ – „თბილისი-2015“ ჩვენს ქვეყანას აბსოლუტურად ახალ სტატუსს აძლევს მსოფლიოს რუკაზე, როგორც მასშტაბური ღონისძიებების, უპირველესად კი სპორტული შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩამტარებლის, რაც აქამდე არ გვქონდა.

ამ ფესტივალით საქართველო ძალიან ბევრს მიიღებს. ქვეყანას დარჩება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ბაზები, გადამზადებული კადრები, იქმნება ახალი უბნები ქალაქში, აღორძინდა და ახალ სიმაღლეზე ავიდა სპორტის რამდენიმე სახეობა, უახლოეს წლებში საქართველოში ჩატარდება ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატის დონის რამდენიმე შეჯიბრება. ოლიმპიადის მასპინძლობა თავისებური ბიძგია, როცა ისეთი ქვეყნების კონკურენტი ხარ, რომლებსაც ამის დიდი გამოცდილება აქვთ.

ცხადია, ესაა ქვეყნის ცნობადობა საერთაშორისო არენაზე და მისი ხვალინდელი დღე, ხოლო ამ ღონისძიებების სწორი მენეჯმენტიც თუ გაგრძელდება, დავინახავთ, რომ სპორტი მხოლოდ დოტაციური და წამგებიანი სფერო არაა, მას დიდი სიკეთის მოტანაც შეუძლია არა მხოლოდ მორალური თვალსაზრისით, არამედ ფისკალური კუთხითაც. სხვა საკითხია ცნობადობა, როცა უცხოეთში არ მოგიწევს ერთსაათიანი ახსნა, თუ საიდან ხარ, იტყვი, რომ შენს ქვეყანაში ჩატარდა ოლიმპიადა და დამატებითი განმარტებები აღარ იქნება საჭირო.

ვფიქრობ, საქართველოსთვის ეს ერთ-ერთი ყველაზე უხვმოსავლიანი ფესტივალი უნდა იყოს ანალოგიური თამაშების ისტორიაში. თუმცა, სპორტული მიღწევების კუთხით, მთავარ სარგებელს 2020 წელს ტოკიოს დიდ ოლიმპიადაზე ვიხილავთ, სადაც ამ თაობას უწევს გამოსვლა. მათთვის, ბოლო სამი წლის განმავლობაში, სპეციალური პროგრამით მიმდინარეობს საგანგებო მზადება. ამიტომ დარწმუნებული ვარ, ტოკიოს ოლიმპიური თამაშები ჩვენთვის წარმატებული იქნება.

– თან ეს ფესტივალი მოზარდ თაობაში სპორტის პოპულარიზაციას უწყობს ხელს.

– რა თქმა უნდა. ახალი არენების წინასწარ დათვალიერების მსურველი ძალიან ბევრია და ყველა მშობელს უხარია, როცა გარემონტებულ, ლამაზ დარბაზებს ხედავს. ჩვეულებრივი ამბავია, რომ ცუდ არენაზე არავის უნდა შვილის მიყვანა, აქ კი ყველაფერი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისია. ბევრი იმასაც ამბობს, ვერ წარმოგვედგინა, ამის გაკეთება საქართველოშიც თუ შეიძლებოდაო. მასობრიობა ზრდის სელექციას, რაც, თავის მხრივ, შედეგებს გააუმჯობესებს.

– დაახლოებით რამდენკაციანი დელეგაციით წარვდგებით ფესტივალზე და რამდენ სტუმარს ელოდებით უცხოეთიდან?

– მოგეხსენებათ, რომ ამ თამაშების პროგრამაში სპორტის 9 სახეობაა: კალათბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი, ველოსპორტი, ცურვა, მძლეოსნობა, ძიუდო, ჩოგბურთი და ტანვარჯიში. ბუნებრივია, ყველა სახეობაში გამოვალთ, მაგრამ ჩვენს დელეგაციაზე ჯერჯერობით გამიჭირდება საუბარი. ეს საკითხი საორგანიზაციო კომიტეტს ნაკლებად ეხება და არც გუნდების დაკომპლექტება დასრულებულა, უცხოეთიდან კი დაახლოებით 4 000-მდე მონაწილეს და ოფიციალურ პირს ველოდებით. გასახარია, რომ ძალიან დიდია უცხოელ ქომაგთა აქტიურობა – ყოველდღიურად ასეულობით შეკითხვა მოდის. მაგალითად, რა ეღირება ბილეთი, როგორ შეიძლება მოხვდნენ ამა თუ იმ არენაზე. წინასწარი გათვლებით, თბილისში 7 000-მდე სტუმარს ველოდებით, ოღონდ ამ აქტიურობის ფონზე, შეიძლება, ციფრი გაცილებით გაიზარდოს. თუმცა ეს არანაირ პრობლემას არ შეგვიქმნის. ოლიმპიური სოფელი გათვლილია 4 000 კაცზე, სასტუმროების რაოდენობით კი თბილისი მზადაა ქომაგების დასაკმაყოფილებლად.

– მონაწილეთა რაოდენობაც ხომ არ გაიზრდება იქიდან გამომდინარე, რომ, პირველად ამ თამაშების ისტორიაში, კვოტების სისტემა არ მოქმედებს და მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია?

– მაქსიმუმ, 5-10 პროცენტით შეიძლება, გაიზარდოს, მაგრამ ამისთვის მზად ვართ. ოლიმპიურ სოფელში ესეც გათვალისწინებულია.

– როგორც ცნობილია, შეჯიბრებებზე დასწრება უფასოა

– დიახ, უფასოა. ეს პირობა ჩვენი ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო კოზირი იყო ჩეხურ ბრნოსთან პაექრობაში, როცა ამ ფესტივალის მასპინძლობისთვის ვიბრძოდით. ფასიანი იქნება მხოლოდ გახსნის ცერემონიალზე დასწრება.

– ფესტივალის მზადების, ქვეყანაში მისი ცნობადობის გაზრდის მიზნით საორგანიზაციო კომიტეტმა დიდი კამპანია გააჩაღა. რამდენად იყვნენ ამაში ჩართული საჯარო თუ კერძო სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები?

– უმაღლესი სასწავლებლებისგან საოცარი აქტივობა იყო. შეიძლება ითქვას, 24-საათიან რეჟიმში კონტაქტში არიან ჩვენთან – მოხალისეები იქნება, გაშუქება, სატესტო ღონისძიებები თუ სხვა... გარდა იმისა, რომ ოქროს ფონდი გვრჩება – გადამზადებული მოხალისეები. ფესტივალისთვის მზადების ფარგლებში თუ რამე იყო სასიამოვნო მოულოდნელობა, ერთ-ერთი უმაღლესების აქტიურობაა. 5 მათგანთან თანამშრომლობის მემორანდუმიც გავაფორმეთ, თუმცა ვისთანაც არ გაგვიფორმებია, ისინიც ძალიან აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროცესში.

სასკოლო პროგრამას რაც შეეხება, 26 მაისს საქართველოში ოლიმპიური ცეცხლი ჩამოვიდა, რომელიც მთელ ქვეყანას მოივლის, 67 დასახლებულ პუნქტში ჩავა. სკოლების აქტივობა და ინტერესი იმდენად დიდია, რომ რამდენჯერმე მარშრუტიც კი შევცვალეთ თხოვნების საფუძველზე. ეს ჩემთვის ძალიან დიდი სიურპრიზი იყო.

– წარმატებას ძირითადად რომელ სახეობებში ელოდებით?

– უპირველესად – ძიუდოში. გვაქვს შანსები ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ცურვაშიც... ვნახოთ. ამ ეტაპზე გუნდურ სახეობებში მედლის მოპოვება ძნელი იქნება, რადგან დიდი კონკურენციაა, ყველა წამყვანი ნაკრები ჩამოდის. თუმცა, როგორც ფედერაციები გვაიმედებენ, ჩვენი გუნდები ლიდერთა შორის იქნებიან და საკმაოდ ძლიერ კონკურენციას გაუწევენ მათ.

– დასასრულს, რას უსურვებთ ფესტივალის მონაწილე სპორტსმენებს, ზოგადად – მომავალ თაობას, მომავალ ოლიმპიელებს?

– მათ ვუსურვებ, რომ ეს უზარმაზარი შრომა, ენერგია, რაც ამ წლებში სახელმწიფომ მათთვის გასწია, დაეფასებინოთ. ეს არენები მათთვის შენდება, ყველაფერს ამ თაობამ უნდა უპატრონოს, როცა სპორტიდან წავლენ, მანამდე კი ვუსურვებ, რომ დიდი სპორტსმენები და წარმატებული მენეჯერები გახდნენ, რომ ახალშექმნილ ბაზებს სწორად უხელმძღვანელონ.

ესაუბრა
ირაკლი თავაძე

მიმდინარეობს ხელმოწერა

მხატვრული ლიტერატურა

ათეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი**
მიგელ დელიბესი - **ორი რომანი**
აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი**
ისტორიის მიღმა
ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
სტენდალი - **წითელი და შავი**
ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
მაინ რიდი - **კვარტერონი**
ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
ალბერ კოენი - **დედაჩემი**
გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი 14 ლარი

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

კრებულის ფასი – 12 ლარი

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

9 ლარი

ქართველი მწერლები

1. **ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი**
2. **მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) II, III, IV, V, VI, VII ტომი – 11 ლარი**
3. **ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი**
4. **ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი**
5. **კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი**
6. **რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, III, IV, V, VI ტომი – 12 ლარი**
7. **ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი**
8. **გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი**
9. **ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი**
10. **თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი**
11. **გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი**

მითითებულია თითო ტომის ფასი



თამაზ ვასაძე

კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

10 ლარი

ფასი – 15 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან ინტელექტი სკოლას

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტომობილი
ამინდი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ქიმია
მეკობრეები
ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
ხალხთა დიდი გადასახლება
უძველესი ადამიანები
ოლიმპიური თამაშები
კრიმინალისტიკა
მათემატიკა
მეცნიერებები
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი
მთები
ჯანსაღი კვება
არქიტექტურა



რა არის რა

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

თემატური კლასტერები

დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. **წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი**
2. **წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული**
3. **ფერები**
4. **გარეული ცხოველები**
5. **გარეული ფრინველები**
6. **პროფესიები**
7. **რიცხვები**
8. **შინაური ცხოველები და ფრინველები**
9. **ჰიგიენის ნივთები**
10. **საოჯახო ნივთები**
11. **ტრანსპორტი**
12. **წყლის ბინადრები**
13. **რუსული ანბანი**

2.50 ლარი

მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. **რელიგიების წარმოშობა**
2. **გარეული ფრინველები საქართველოში**
3. **გარეული ცხოველები საქართველოში**
4. **მწერები**
5. **ძვეწარმავლები საქართველოში**
6. **საქართველოს მცენარეები**
7. **სამყაროს წარმოშობა**
8. **ნიადაგი – სიცოცხლის წყარო**
9. **რეპტილიები და დინოზავრები**
10. **მსოფლიოს დროშები**
11. **ზღვის დინებები**
12. **ძიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა**
13. **ძართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა**
14. **მსოფლიოს შვიდი საოცრება**

4 ლარი

მწერალთა პორტრეტები *(34X47 სმ)*

1. **მიხეილ ჯავახიშვილი**
2. **გიორგი ლეონიძე**
3. **ირაკლი აბაშიძე**
4. **ნოდარ დუმბაძე**
5. **აკაკი წერეთელი**
6. **კონსტანტინე გამსახურდია**
7. **პაოლო იაშვილი**
8. **სულხან-საბა ორბელიანი**
9. **პოლიკარპე კაკაბაძე**
10. **გურამ რჩეულიშვილი**
11. **დავით გურამიშვილი**
12. **ბესიკი**
13. **რევაზ ინანიშვილი**
14. **თეიმურაზ I**
15. **ვახტანგ VI**
16. **გიორგი მერჩულე**
17. **გრიგოლ ორბელიანი**
18. **დავით ალმაშენებელი**

4 ლარი

რეპროდუქციები

1. **ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი**
2. **მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო**
3. **ადელ გლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი**
4. **მენინები - დიეგო ველასკესი**
5. **დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო**
6. **მხატვრის ბაღი - კლოდ მონე**
7. **უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი**
8. **საძაველა - ოგიუსტ რენუარი**
9. **საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა**

6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე



ახალი განათლება

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >